

CONCEPTUAL ART

ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV • art review 04.2024

გეგმვა გაგვიჩვენა

ჩავ. ანთ მიმონილვა 04.2023

კონსტრუქციული ხელთნება

შინაარსი content

REACH art VISUAL PRESENTS
შინაარსი 4

რედაქტორისა და გამომცემლისგან
მარია შერგელაშვილი, თეა გოგუაძე

REACH art VISUAL PRESENTS
FOREWORD 5

by editor and publisher
MARIAM SHERGELASHVILI, THEA GOGUADZE

REACH art VISUAL PRESENTS
ინტერვიუ 4

კოკა რამიშვილი 6
ნინო ლომაძე 13
ლევანი (ლევან მინდიაშვილი) 19

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW 4

KOKA RAMISHVILI 9
NINO LOMADZE 16
LEVANI (LEVAN MINDIASHVILI) 25

REACH art VISUAL PRESENTS
ისტორიული დისკურსი 30

ხატუნა ხაბულიანი
სადისერტაციო ნაშრომი - ვიზუალური
ნიშნების ტრანსფორმაცია

REACH art VISUAL PRESENTS
HISTORICAL DISCOURSE 33

KHATUNA KHABULIANI - Thesis -
Transformation of visual signs: artistic forms and
concepts in Georgian version of postmodern art

REACH art VISUAL PRESENTS
ესეი 36

ქეთევან ცეცხლაძე
1980-იანი წლების სახელოვნებო სივრცე საქართველოში და მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები
მაგდა გურული 43

კოლექტიური ჰიპნოზი და პირადი პასუხისმგებლობა (ილიკო ჯაუტაშვილის შემოქმედება)

REACH art VISUAL PRESENTS
ESSEY 40

KETEVAN TSETSKHLADZE
The Art Environment and Creative Processes
in 1980s Georgia

MAGDA GURULI 46
Collective hypnosis and personal responsibility
(Iliko Zautashvili's Conceptual Art)

REACH art VISUAL PRESENTS
სალონებისათვის ბლოგი 49

მარია შერგელაშვილი
ფიქრის ტრაექტორია - თანამშრომლობა ხელოვნებთან:
თორნიკე გოგუაძე 51
ნინო საკანელიძე 52
ქეთი კაკაბაძე 53
თეა ნილი 54
ოთო შენგელია 55
დავით ჩიხლაძე 56

REACH art VISUAL PRESENTS
BLOG BY ART HISTORIAN 58

MARIAM SHERGELASHVILI
Unarchived Semiotics in collaboration with artists:
Tornike Gognadze 60
Nino Sakandelidze 61
Keti Kapanadze 62
Thea Nili 63
Oto Shengelia 64
David Chikhladze 65

REACH art VISUAL PRESENTS
წარღვევა 67

მამუკა ჯაფარიძე
კოტე ჯინჩარაძე 71
კონსტანტინე მინდაძე 77
ირინა გაბიანი 82
მანუჩარ ოკროსტვარიძე 87
თეზი გაბუნია 91
მიშკა სულაკაური 93
თამაზა ჯაფარიძე 98
ბიო სუმბაძე 103
მარია ნატროშვილი, დეტო ჯინჩარაძე 107
მარია ყადაგიაშვილი 113
გიორგი დანიბეგაშვილი 117
თათია დარჩიაშვილი 122

REACH art VISUAL PRESENTS
ZE GAVLENA PRESENTS 69

Mamuka Japharidze
Kote Jincharadze 75
Konstantine Mindadze 80
Irina Gabiani 86
Manuchar Okrostsvardze 89
Tezi Gabunia 92
Mishka Sulakauri 96
Tamusa Zarqua 101
Gio Sumbadze 105
Mariam Natroshvili / Detu Jincharadze 110
Mari Kalabegashvili 115
Giorgi Danibegashvili 120
Tatia Darchiashvili 125

ბინასიყვამბა

ხელოვნება ის არ არის,
ჩასაჯ ხედავთ.
ხელოვნება
უფსკრულია



ჩედაქორი – გარინა შერგელაშვილი

სახელოვნებო ურნალის, მე გავლენას, რიგი მე-13 გამოცემა კონცეპტუალურ ხელოვნებას წარადგენს. ამ გამოცემაში შეხვედებით განსხვავებული გამოცდილებისა და თაობის წარმომადგენელ ხელოვანებს, რომელთა შემოქმედებაში იდეაზე დაფუძნებული ნამუშევრები განსხვავებული აღქმის რაკურსით გვაფიქრებს ხელოვნებასა და რეალობაზე. რას ნიშნავს იდეაზე დაფუძნებული ხელოვნება? რა არის ის ჰარალელური ზერეალობა, რომელიც ხელოვნების საშუალებით ხდება მხოლოდ მოხელთებადი? როგორია მისი ზეგავლენა ადამიანსა და გარემოზე?

ხელოვნება ყველაზე განზოგადებულად შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ვიზუალური თხრობის მედიუმი. როგორც „პრე“ კონცეპტუალისტმა (რამდენადაც მაშინ „კონცეპტუალური ხელოვნება“ ეს ტერმინი არ იყო დამკვიდრებული), ხელოვნების ისტორიაში დღემდე ერთერთმა ყველაზე რადიკალურმა ნოვატორმა, დადას დამფუძნებელმა და ავანგარდის მოწინავე წარმომადგენელმა, მარსელ დუშანმა, განსაზღვრა - „ხელოვნება ის არ არის, რასაც ხედავთ. ხელოვნება უფსკრულია“ (It's not what you see that is art; art is the gap).

დუშანის შემდეგ, მე-20 საუკუნემ არაერთი გამონვევით განვლო და დღესაც 21-ე საუკუნის გარდამტეხ ებაში, გამომსახველობითი ცვლილებების მიუხედავად, ეპოქალურ ტრანსფორმაციათა უწყვეტ ნაკადში, ხელოვნება ერთადერთი ადამიანური (ადამიანის შექმნილი) ფასეულობაა, რომელიც გამოსახულების განცდით - ემოციურ ასპექტს კიდევ დამატებითი მნიშვნელობით, არამატერიალური, ღირებულებითი და ესთეტიკური პრიზმით წარმოგვიდგენს. მრავალშრიანი გამოსახულების კვლევის სპექტრი, რაც ვაცობრიობამ არქაული ეპოქიდან დღემდე განვლო. დასავლურ ცნობიერებაში კონცეპტუალური ხელოვნება ხელოვნების კლასიფიცირების აუცილებელ განსაზღვრებად XX საუკუნის 60-იან წლებიდან დამკვიდრდა. ამ პერიოდიდან კონცეპტუალურმა მიმართულებამ ხელოვნების ექსპრესიულ ბუნებაში საზრისის, ენობრივი ძიების ახალი განშტოება დაამკვიდრა. დღეს ესეც ისტორიის ანარეკლია. პოსტ-პოსტ მოდერნისტულ უახლეს ტექნოლოგიურ ერაში - ინფორმაციისა და იდეების ჭარბი გაზიარების ეპოქაში, როდესაც ყოველივე ინიციატივას თავისი იდეის სარჩული აქვს, რას შეიძლება გულისხმობდეს კონცეპტუალურობა ხელოვნებაში? სწორხაზოვანი პასუხის ნაცვლად გამოცემის ფურცლებს მიჰყვით.

გამომსახედი – თეა გომუაძე

როდესაც ვინცებთ ხელოვნების განსჯას, გარჩევას, შემდგომ გამართლებას... როგორი უნდა იყოს ის, რას უნდა ემსახურებოდეს და ასე შემდეგ - პირადად მე ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მგონია თავად ფაქტი, რომ ხელოვნება არსებობს! ის ადამიანის უზენაესი მოთხოვნილებაა. ხელოვნების შექმნის მარტივ სურვილს ვერაფერი აჩერებს. ათასი ეპოქიდან ვერცერთმა დროებამ ვერ ახსნა და მით უმეტეს ვერ გააჩერა ხელოვნების შექმნის დაუოკებელი ჟინი, ისევე როგორც, მასზე გაუთავებლად საუბრის სურვილი. სათანადოდ იმ ამრთან წინააღმდეგობაში შესვლა, რომ თითქოს ხელოვნება უფსკრულია, უსაგნო შეიძლება გახდეს, ვინაიდან პირადი აღქმა ხელოვნების პედესტალია და არც მე ვარ შორს ამრისგან, რომ ხელოვნება სტრიქონებს შორის არსებული უკიდევანო სივრცეა.



FOREWORD

IT'S NOT
WHAT YOU SEE
THAT IS ART;
ART IS THE GAP

Marcel Duchamp

Foreword from the Editor

Mariam SHERGELASHVILI

The 13th edition of *Influence*, a magazine dedicated to exploring the world of conceptual art, introduces you to artists from various backgrounds and generations, whose ideation-driven works prompt us to reconsider our perceptions of art and reality. What does it mean to engage with art rooted in concepts? How does such art create a parallel hyperreality accessible only through its medium? What effects does it wield on individuals and the broader environment?

Art, in its broadest sense, serves as a medium for visual storytelling. Marcel Duchamp, a pre-conceptualist and one of art history's most radical figures, famously stated, "It's not what you see that is art; art is the gap". His work laid the groundwork for Dada and avant-garde movements, challenging our understanding of art's essence.

The 20th century witnessed numerous artistic challenges, and as we navigate the 21st century's transitional phase, art remains a unique human creation that enriches the emotional and visual dimensions of experience with immaterial value, viewed through an aesthetic lens. Humanity's exploration of imagery spans from the archaic era to today, with conceptual art emerging in the 1960s as a vital categorization within Western art discourse. This movement initiated a new quest for expressive language within art's domain.

In today's era, characterized by an overload of information and the proliferation of idea-driven initiatives, what significance does conceptuality hold in art? This edition does not seek to provide a straightforward answer but rather invites readers to delve into the pages that follow for a multifaceted exploration.

Comment from the Publisher
Thea GOGUADZE



Whenever we find ourselves adjudicating, differentiating, and rationalizing art—debating what it ought to be, what purposes it should serve—I personally believe that the mere existence of art surpasses these considerations. Art is a fundamental human necessity, an unstoppable force. Throughout thousands of years, no era has been able to fully articulate, much less quell, the relentless drive to create art or the persistent desire to discuss it. Arguing against the notion that art is an empty space may prove futile, for it is personal perception that elevates art, anchoring it firmly in our experience. I subscribe to the view that art resides in the expansive realm between what is said and what is left unsaid.





კოკა ჩაიშვილი

გაგვიზიარეთ თქვენი სახელოვანებო პრაქტიკისა და ხელოვნების ფორმირება. როგორ და როდის დაინტერესდით ხელოვნებაში კონცეპტუალური მიმართულებებით?

კონცეპტუალური ხელოვნება, რომელიც XX საუკუნის 60-იანი წლების ფენომენია ინტელექტუალური და ნაკლებად სანახაობრივი ხელოვნების მიმართულებაა, თუმცა მნიშვნელოვანია რომ ამავე პერიოდში კონცეპტუალურ ხელოვნებასთან ერთად, თითქმის თანადროულად ჩნდება მინიმალისტური ხელოვნება, არტე პოვერა და პოპ არტი. გასული საუკუნის ამ ოთხ ძირითად მიმართულებას შორის გარკვეულწილად შეიმჩნევა შემოსაზღვრა ან სახელოვნების აღრევა. მაგალითად, ხშირად შეცდომით ან მარტივად განვსაზღვრავთ, რომ კონცეპტუალური ხელოვნება არის ის რაც ახსნადია. ხელოვანს ევალეა, რომ გან-

მართოს თავის შემოქმედება კონცეფციით, მაგრამ მხოლოდ ეს არაა ცხადია კონცეპტუალური მიმართულება. ზოგადად ძალიან ცოტა ხელოვანი მუშაობს ამგვარი მეთოდოლოგიით. მე რაც შემეხება, ჩემთვის ყოველთვის საინტერესო იყო ხელოვნების ისტორია, სიმპტომატოლოგიური თვალსაზრისით როგორც ცნობიერების ევოლუციის ან ინვოლუციის ფენომენი. ამავედროულად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი ხელოვნებაში არამხოლოდ ემოციურ მხარეს, არამედ ინტელექტუალურს. კონტექსტი, სოციალური გარემოც ჩემთვის მუდმივად აქტუალური იყო.

იდეა, იდეის განხორციელება და შემდგომ მისი ინტეგრაცია სოციუმში არის ის სამი მნიშვნელოვანი ფაზა, რაც ნამუშევარმა უნდა გაიაროს. ჩვენთან აკადემიაში ბევრი საინტერესო მასწავლებელი იყო, მაგრამ სწავლების ამგვარი მეთოდები არც მაშინ არსებობდა და არც დღესაა დამკვიდრებული. XX საუკუნის 80-90-იან წლებში მე ვკონცენტრირდი იდეის მოპოვების რესურსზე, მის გადამუშავებასა და რეპრეზენტაციის ფორმებზე. ასეთი პრაქტიკა მაშინ ძალიან ცოტა ადამიანისთვის იყო გასაგები. პუბლიკასთან ინტელექტუალური ახსნა აუცილებლად მჭირდებოდა. ამასთანავე, ჩემი სურვილი იყო სამი მიმართულება – კონცეპტუალური ხელოვნება, მინიმალისტი და არტე პოვერა გამეერთიანებინა ჩემს შემოქმედებაში და ერთიან პლატფორმად მექცია. შესაბამისად, ჩემს შემოქმედებაში შედის მთლიანად ის გამოცდილებები რაც ამ პერიოდში ამ სხვადასხვა მიმართულებიდან მივიღე. მათ შორის გამორჩეულად მნიშვნელოვანია ჩემი პირადი მეგობრული ვაჭირი მიქელანჯელო პისტოლეტოსთან, რომელიც არტე პოვერას ცოცხალი ლეგენდა და ამ მიმართულების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი იყო. პისტოლეტოს მიწვევით ვკითხულობდი ვენის აკადემიაში კურსს მის სტუდენტებთან, რომლებიც შემდგომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოშიც ჩამოვიყვანე. პირდაპირ ვიცნობდი ასევე კონცეპტუალისტ ჯოზეფ კოშუტს და მის ხელოვნებას განსაკუთრებულად ვაკვირდებოდი.

თქვენი შემოქმედების ბაზისური კონცეპტუალური იდეები რა თემატიკას ეფუძნება?

“ომი ჩემი ფანჯრიდან” ჩემს ერთ-ერთ ადრეულ ნამუშევარს ყველა კონცეპტუალურ და პოლიტიკურ პროექტად მოიხსენიებდა, მაგრამ კონცეფციის და პოლიტიკის მიღმა აქ იყო უდიდესი ემოცია, ე.წ. ვიზუალური პოეზია. სწორედ ეს იყო მთავარი და არა პოლიტიკური და სოციალური შრე, რომელიც ჩემთვის ფონი იყო. აქცენტები, რომლებიც ამ სერიებშია ასახავს ბუნებას, ცვლილებას და ლანდშაფტს, ამ ყველაფერს ვი ომი თითქოს არ ეხება. აქ არაა ბატალური სცენები - ხალხის მოქმედება და ომის მანევრები საერთოდ არ ჩანს. ეს ნამუშევარი აგებულია კონტრაპუნქტზე, სადაც აბსულუტურად განსხვავებული რამ ხდება. ქალაქის ლანდშაფტი და გარემო არ ასახავს საერთოდ ომის სცენას, მაგრამ შემოდის დროითი განზომილება. ნამუშევრის სახელოვნება, როგორც კონცეპტუალურ-მენტალური აქცენტი ეწინააღმდეგება ნამუშევრის პოეტურ გამომსახვე-

ლობას. ეს მანევრი ჩემთვის ბაზისური იყო, რაც შემდეგ განვავითარე. კონტრაპუნქტის მომენტი ჩემთვის დღემდე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურმა ხელოვნებამ, მინიმალისტმა და არტე პოვერამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე, ამ ყოველივეს პირდაპირი განმეორება არ იყო ჩემი მოტივაცია. პირიქით, XX საუკუნის ბოლო პერიოდიდან ჩემთვის ახალი ამოცანები გამოვლინდა, ახალი თემები, ე.წ. კონტექსტუალური მიმართულებები, როგორცაა ევოლოგიური კრიზისი, მედიტაციური თუ თერაპიული მიდგომა ხელოვნებაში.

21-ე საუკუნის დასაწყისში ძალიან ნათელი იყო ის თუ რა მაინტერესებდა და რა მიმართულებით განვავითარებდი ჩემს ხელოვნებას. ემოციური მომენტი, ე.წ. ინტუიციური მუშაობა დღემდე ჩემთვის არის უპირველესი. ნამუშევრის აგების და ინტეგრაციის პროცესში ვიყენებ ემოციასაც და ინტელექტსაც. ჩემთვის მოულოდნელობის მომენტი და არსებული გამოცდილებების ცნობიერად დავიწყება მთავარია მუშაობისას. ასევე, ტრანსდისციპლინური მიდგომა, რომლის მიხედვითაც ნამუშევრებში დროითი, სივრცითი და დისციპლინური შრეები უკავშირდება ერთმანეთს. აქ აღარაა განცალკევებული (discrete) გაყოფილი ზონები - ეს მუდმივი ნაკადია, სადაც დრო და სივრცე გამჭვირვალე შრეებია. ჩემს ბოლო პერიოდის ნამუშევრებშიც ამ რამოდენიმე შრეს ვაჩვენებ, სადაც აღარაა პოსტმოდერნისტული მანევრი, არამედ აქ ჩნდება ე.წ. მაკავშირებელი ხიდები და ექსპოზიცია იქმნება, როგორც ერთიანი სხეული.


რამდენად მოქმედებს და რა გავლენას ახდენს თანადროული მოვლენები თქვენს შემოქმედებით პროცესზე?

მხატვარი ყოველთვის აღიქვამს და უყურებს სიტუაციას, ფიქრობს გარემოზე, მაგრამ გარემოს რადიუსი შეიძლება სხვადასხვა განზომილებით აისახოს. მაგალითად, არის მხატვარი, რომელიც მხოლოდ თავისი წრისთვის აკეთებს ნამუშევარს, არის ხელოვანი, ვინც უფრო ფართოდ ფიქრობს ქალაქზე, არის არტისტი, რომელიც უფრო გლობალურად ხედავს სიტუაციას, კოსმოსს, დედამიწას და ა.შ. რა თქმა უნდა ამ დიაპაზონებში გამოისახება ის ინფორმაციული და სოციუალური პრობლემები, რომლებიც გარემოშია. პოლიტიკური მასალის გამოყენების მიუხედავად, ჩემთვის ეს გარდაიქმნება პოემად, ქორეოგრაფიად. ვფიქრობ, ადამიანების სხეულთა ქორეოგრაფიული მოძრაობით მეტი რამ შემიძლია დავაფიქსირო.

რა ფორმებით იყენებთ ტექნოლოგიას ან ექსპერიმენტულ მასალებს თქვენი შემოქმედებითი იდეების გამოსახატვისთვის?

ხელოვნება საერთოდ პარადოქსია, ვერ ახსნი მას ბოლომდე. ნახტომი, რომლითაც ხელოვანი ახალ სამყაროს ქმნის. ინდივიდუალური და ზემოქმობიარე მომენტია, როდესაც ამ პროცესში გამოცდილებას, განათლებას და ინტელექტს ივინყებ და ამგვარად ახალ ხედვას შეიმუშავებ.





ტექნოლოგიურ განვითარებას, ხელოვნების ციფრულ სფეროში არ უარვყოფ. მეც ვიყნებ ტექნოლოგის, ციფრულ მედიას, ფოტოგრაფიას, მოძრავ გამოსახულებას და სოციალურ ქსელებს. მთავარი ჩემთვის, ადამიანსა და ტექნოლოგიურ იარაღს შორის ურთიერთობისას, არის ბალანსი. ადამიანის სიცოცხლე, მისი გარემოსთან და კოსმოსთან ჯანსაღი კავშირი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექნიკისგან მიღებული კომფორტი.

როგორია თქვენთვის დამოკიდებულება პიროვნულ გამოსახატვასა და თქვენს ხელოვნებაში საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ თემებთან კავშირს შორის?

დღევანდელობაში ინფორმაციული ნაკადი არის ძალიან მძაფრი და ადამიანები ამ ინფორმაციის მიღებით ფსიქიურად ავადდებიან. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ხელოვნებას ამ დროებაში აქვს თერაპიული ფუნქცია, რათა გააღვიძოს საზოგადოებაში ახალი შეგრძნებები და ხედვები. მაგალითად, ვიცი, რომ ფერი კურნავს, ამ მხრივ ქალაქი და ეკრანი ვერ შეედრება ერთმანეთს. მაგრამ

მთავარი მაინც არის ინფორმაციული მიმართება. ჩემი შემოტანილი ტერმინი ინფორმაციული ეკოლოგია ადამიანს აძლევს იმედს. დღეს მხოლოდ სილამაზე არ მუშაობს. ხელოვნებამ ადამიანს უნდა დაანახოს ის რაც არ ჩანს, ჩემთვის ეს მომენტია უმნიშვნელოვანესი. ჩემი მოტივაცია არა შოკი, ან ეპატაჟი, არამედ ადამიანის დაფიქრება და მისი სამყაროსთან მეტად გახსნა. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარია, აუდიო და ვიდეო ინსტალაცია „ადამიანები ფიქრობენ სიყვარულზე“, რომელზეც 20 წლის განმავლობაში ვმუშაობდი. სპეციალურად ამ ნამუშევრისთვის მელოდია ნიკა მაჩაიძემ შექმნა. ეს ინსტალაცია დიდ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე. ხალხი ტიროდა და მეუბნებოდა, რომ მათში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. არ მეგონა, რომ ამ ნამუშევარს ასეთი ზემოქმედება შეეძლო, მაგრამ დამთვალეფრებლები მიზიარებდნენ თავიანთ შეგრძნებებს. ხელოვნებას აქვს უდიდესი ძალა, მას აქვს უნარი შეენიანააღმდეგოს ვეღურ ეკონომიურ-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და სოციალურ შტორმს.

koka ramishvili

**Please elaborate on the genesis of your artistic journey and vision.
What sparked your fascination with conceptual art and when did this
passion begin to develop?**

My journey into the realm of conceptual art, an intellectual and nuanced art movement born in the 1960s, was deeply intertwined with my interest in the history of art as a reflection of the evolution or involution of consciousness. This period also saw the emergence of minimalist art, arte povera, and pop art, creating a vibrant tapestry of artistic exploration. Despite the overlapping and sometimes confusing categorizations among these movements, conceptual art is often oversimplified as merely explanatory. However, true conceptual art extends beyond mere interpretation by the artist; it's a nuanced methodology embraced by relatively few.

My artistic practice has always valued the intellectual alongside the emotional, placing significant emphasis on the context and social environment surrounding the art. The lifecycle of a piece, from the inception of an idea through its realization and eventual integration into society, delineates the critical stages each work must traverse. Despite the presence of many inspiring educators during my academic years, the methodologies for teaching such approaches were inexistent at that time and are still poorly established today.





What fundamental conceptual ideas and themes is your creativity rooted in?

The core conceptual ideas of my work are deeply rooted in visual poetry, an emotional depth that transcends the more visible layers of concept and politics. This emotional core is vividly illustrated in one of my early works, "War from my window," which, while categorized as a conceptual and political project, primarily explores themes of nature, change, and landscapes seemingly unaffected by the ravages of war. This series deliberately omits battle scenes and human conflict, choosing instead to present a counterpoint where the environment and city's landscape do not mirror the war scene, introducing a temporal dimension that contrasts with the work's title. This approach, focusing on the juxtaposition between the title's conceptual weight and the work's poetic expression, has been a foundational maneuver in my artistic development, with the principle of counterpoint continuing to play a significant role in my work.

The influences of conceptual art, minimalism, and arte povera have been significant, yet my drive has never been to merely replicate these movements. Instead, the late 20th century marked a shift towards engaging with contemporary issues like the ecological crisis and exploring meditative or therapeutic approaches in art.

Entering the 21st century, my artistic direction became more defined, with an emphasis on the emotional and intuitive aspects of creation. My process involves a blend of emotion and intellect, where the thrill of surprise and the deliberate departure from past experiences are key. I've adopted a transdisciplinary approach, weaving together temporal, spatial, and disciplinary elements into a cohesive narrative. My recent works eschew discrete divisions for a fluid integration of time and space, moving beyond postmodernist tactics to forge 'connecting bridges,' thus presenting a unified, multidimensional exploration.

My artistic practice has always valued the intellectual alongside the emotional, placing significant emphasis on the context and social environment surrounding the art. The lifecycle of a piece, from the inception of an idea through its realization and eventual integration into society,

In the late 20th century, my focus sharpened on the origination, refinement, and representation of ideas, a pursuit that was then understood by only a select few. My work sought to intelligibly engage with the public, aspiring to merge conceptual art, minimalism, and arte povera into a unified creative expression. This endeavor encapsulated the diverse influences and experiences I gathered from these artistic movements.

A pivotal aspect of my journey was my personal connection with Michelangelo Pistoletto, a seminal figure in arte povera. Invited by Pistoletto, I had the privilege of teaching a course at the Vienna Academy, and later, facilitating an exchange program that brought his students to Georgia. Additionally, my acquaintance with conceptualist Joseph Kosuth allowed me to closely observe and draw inspiration from his work, further enriching my artistic vision and practice.



How significantly do current events shape your creative journey?

Artists invariably absorb and contemplate their surroundings, yet the breadth of this environment can manifest across varied scales. Some artists craft works intended solely for their immediate circle, while others draw inspiration from the broader context of the city or adopt a more expansive view that encompasses global, cosmic, or earthly perspectives. These scopes invariably mirror the informational and social issues prevalent within their environments. Despite engaging with political content, my approach transforms such material into forms of poetry and choreography. I believe in capturing the essence of our times through the choreographed movements of human bodies, finding therein a more profound means of expression.



How do you incorporate technology or experimental materials into your creative expression?

Art inherently embodies a paradox; it's an enigma that defies complete explanation. The artist's journey to forge new worlds is marked by a leap of imagination. It's a deeply personal and sensitive phase where past experiences, education, and intellect are momentarily set aside to cultivate fresh perspectives.

I embrace technological advancements in the digital realm of art, including digital media, photography, moving images, and social media. However, for me, the crucial aspect in the interplay between humans and technology is maintaining balance. The well-being of human life and its harmonious relationship with the environment and cosmos holds precedence over the conveniences offered by technological advancements.



How does personal expression intersect with social or political themes in your artwork?

In today's world, the surge of information is overwhelming, leading to mental distress for many. Consequently, I believe art serves a therapeutic role, aimed at invigorating society with new emotions and insights. While it's recognized that color can have healing effects, the essence transcends the medium, whether paper or screen. The pivotal factor remains the relationship with information. My concept of "information ecology" offers a glimmer of hope, underscoring that beauty alone is insufficient. Art's purpose is to reveal the unseen, a mission I consider paramount. My objective is not to shock but to provoke thought and broaden people's perspectives. An example of this is my audio and video installation "People Think About Love," a project spanning 20 years with a melody composed by Nika Machaidze. The installation profoundly moved audiences, eliciting tears and personal revelations about transformative experiences. The impact of this work, as relayed by viewers, was unexpected, illustrating art's potent ability to withstand the tumultuous forces of economic-political, informational, and social upheavals.









ნიმო ღობაძე


წესრიგის ჩლვევა

გაგვიზიარეთ თქვენი, როგორც ხელოვანის მთავარი არტისტული განაცხადი. როგორ დაიწყო და განვითარდა ეს მიმართება თქვენს შემოქმედებაში?

ვფიქრობ ხელოვანი თავად განაცხადი უნდა იყოს როგორც მისი ქმედება, რეფლექსია, მიღებული ნორმების გაანალიზება, დაშლა, ფორმირება და ასე შემდეგ ეთგვარი თამაში "Thought is made in the mouth." — Tristan Tzara

კერძოდ ჩემთვის ეს თამაში დაიწყო იმ ბავშვობის თეატრით სადაც თეთრი ზენარი თოკებზე სამაგრებით ჩემთვის მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო რაღაც დროებითი ზღვარი ორ საყოფაცხოვრებო ობიექტს შორის -----





კონცეპტუალური ხელოვნება ხშირად განსაზღვრულ ინტელექტუალურ შრეზე ვითარდება. ტექსტი, შერეული მედიუმი და ექსპერიმენტული ხედვა გადამწყვეტია თქვენ სახელოვნებო პრაქტიკაში. ამ მიმართებით, როგორია ფორმისა და შინაარსის თქვენეული აღქმა?

ფორმის სტრუქტურის ბადე იშლება იმ კოორდინატებს შორის სადაც შენ როგორც სუბიექტი ხდები საგნის ობიექტივაციის მონაწილე კონკრეტულ დროში ტექსტუალური მინიშნებები, მასალა როგორც სინტაქსური ხედვის ამოსავალი წერტილი სადაც ამბავი როგორც ვიზუალური ფრაზა კონკრეტული ქმედების ერთგვარი ნახტომია რაღაც უკვე არსებულ შინაარს შორის


გარემო და შთაგონება.

რა არის ის მთავარი იმპულსები, რომლითაც ავითარებთ თქვენს შემოქმედებით ძიებას?




Plastic border
 a container made of flexible material
 an opening at the top - right -left - below
 used for carrying things
 others
 others — smile - the mouth turned up
 sorrow - the mouth turned down

ძიების პროცესი როგორც ნეგატივზე გამომჟღავნებაა ეს ის კამერული სივრცეა სადაც ცნობიერების ნაკადი ახდენს ბგერის, შესტიკულაციის, სიტყვის კონდენსაციას რემინისცენციას როგორც ერთი დოკუმენტური მასალა



ხელოვანი და საზოგადოება.
 თქვენი აზრით რა არის ხელოვანის
 როლი დღევანდელ სოციალურ
 კონტექსტში?

I.K. Bonset (Theo van Doesburg),
 1921
 'JE SUIS CONTRE TOUT ET TOUS'
 პამფლეტი
 ხელოვანის როლი ?
 უნდა იყოს მეგაფონი !!
 ეს არის და ეს -----





NINO LOMADZE


DISRUPTION OF ORDER

Share with us your main artistic statement as an artist. How did this relationship begin and develop in your work?

I think that the artist himself should become a statement as its action, reflection, Analyzing the accepted norms, breaking them down, forming them, and so on, This is a kind of game "Thought is made in the mouth." - Tristan Tzara

For me, this game started with the theater of my childhood, where white bed sheet with ropes were an important attribute for me, a temporary boundary between two domestic objects -----


Spelling does not determine
Typically research of calculation.




Forming adjectives: resembling or having the characteristics of a specified thing.

Formation of adjectives

Corresponds to the classification, Jan 24, 2024



These elements of the choice between narration, display and manifestation may vary by specific dimension and depend on how much they collectively contribute to the scene's narrative and emotional resonance.



Open Sandbox

choice between narration, display and manifestation may vary by specific dimension and depend on how much they collectively contribute to the scene's narrative and emotional resonance.



1.R- e -r -u -m

reaction, intensity, passage, reflection - pronunciation

Re- - - -Um

0.00/0.02

0.00/0.03


0.00/0.03

0.00/0.03

Mi- - - - -Um

Re- - - - -um


Do- - - - -s




Forming adjective: resembling or having the characteristics of a specified thing.

Formation of adjectives


Corresponds to the classification, Jan 24, 2024



The properties
A characteristic function in mathematics often refers to a function that defines the properties of a particular object.



Open Sandbox



Conceptual art often develops on a defined intellectual layer. Text, mixed media, and Experiential vision is crucial in your artistic practice. In this regard, what is your perception of form and content?

The grid of the structure of the form is divided between the coordinates where you as a subject Participant in the objectification of the subject at a specific time





Contextual cues, material as the starting point of syntactic vision, where the story as a visual phrase is a kind of leap of concrete action between some already existing content.

the image is on the level
 Floor = (Table - chair)
 N(1-2-3-) objects = as circumstances actions of
 representation
 Inter stimulating materials of matter



Environment and inspiration.
 What are the main impulses with which you develop your creative search?

The search process is like exposure to the negative
 This is the chamber space where the stream of consciousness condenses sound, gesture, speech.
 Reminiscence as one documentary material



I.K. Bonset (Theo van Doesburg), 1921
 'JE SUIS CONTRE TOUT ET TOUS'
 Pamphlet
 The role of the artist?
 It must be a Megaphone!
 That's what it is -----

Artist and society.
 What do you think is the
 role of an artist
 in today's social context?



ლექსიკონი

(ლექსიკონი ლექსიკონისთვის)


ესაუბრა მარიამ შერგელაშვილი

ლევან გაგვიზიარეთ თქვენი სახელოვნებო პრაქტიკა საიდან იღებს სათავეს? რა არის ის ფუნდამენტური ხედვა რაც ინტერესების და თემების სვალაბალობის მიუხედავად თქვენი შემოქმედებისთვის პულძივად ბაზისური?

ფაქტი, რომელმაც წლების მანძილზე გაბნეულ ინტერესებს თავი მიუყარა და ერთ ჩამოყალიბებულ ხედვად შევკრა, არის ჩემთვის შედარებით ახალი აღმოჩენა, რომ მიკრობიოლოგიის თანახმად, ადამიანის სხეულის აგებულებაში "სუფთად" ადამიანური უჭრედი მხოლოდ 10%-ია, ხოლო დანარჩენი 90% სამყაროში არსებული სხვადასხვა მიკრობი, ბაქტერია, ორგანიზმი თუ მატერიაა, მათ შორის ვარსკვლავის მტვერი და რამდენიმე ბილიონი წლის ნახშირდაბის ატომები. სამყარო არის მუდმივად მოძრავი, ფოროვანი (გამჭოლი) ეკოსისტემა და ჩემთვის მთავარი მამოძრავებელი ყოველთვის იყო ცნობის-მოყვარეობა სამყაროს შესახებ. მასში და მასთან ერთად ყოფნის ფორმები და მასთან ერთად გარდაქმნა. და მიუხედავად მისი მრავალსახეობებისა, მისი მოძრაობის (ზრდის, განვითარების) ლოგიკა უცვლელია როგორც გალაქტიკების ჩამოყალიბებისას ისე ყველაზე ელემენტარული, მიკრობული უჭრედის განვითარებისას.

მეორე - უფრო ფორმალური - ასპექტი რაც არ შეცვლილა წლების მანძილზე არის ტრანს-დისციპლინარული, ჰოლისტიკური დამოკიდებულება ამ ცოდნის შექმნა-კვლევისას და მისი გადმოცემისას. რამდენადაც კომპლექსური და ნიუანსებით სავსეა როგორც გარემო სამყარო და ჩვენი - ადამიანების - მიერ მისი აღქმა, შესაბამისად ამ კავშირების გამოხატვა და მასზე საუბარი, მხოლოდ მატერიალურად კომპლექსური ფორმებით შემიძლია.

აქვე დავძენ, რომ ადრეულ ასაკიდანვე განმავითარდა მტკიცე უნდობლობა მეინსტრიმი ცნობიერების და ფორმების მიმართ. მაგალითად, არასდროს მინდოდა მეკეთებინა სუფთა "ფერწერა" ან სუფთა "ქანდაკება" - არამედ ყოველთვის მაინტერესებდა თუ რა ხდებოდა მათ შორის დარჩენილ დიობებში. აქედან გამომდინარე ჩემი პოზიციაც ყოველთვის იყო "ანდერგრაუნდიდან" "მარგინალიზირებული სივრციდან" ცენტრის მიმართ კრიტიკული ხედვა.



კონცეპტუალური ხელოვნება ხელოვნების ისტორიაში გოგჯერ ძალიან კონკრეტულ გამომსახველობას გვთავაზობს და შესაძლოა გლუდავდეს გაყურებელს იდეის დომინანციით. რამდენად იზიარებ ამ პრაქტიკას? რამდენად ფიქრობ მნახველზე, როგელის შენი ნაშუქვის გასაცნობად მოდის?

სანამ ამაზე განვავრცობდეთ ალბათ აუცილებელია განვმარტოთ რომ დასავლური ხელოვნების ისტორიაში არსებული სტილის თუ მიმდინარეობის ცნება - როგორც ესთეტიური, ფორმალური და იდეოლოგიური სტრატეგიების ერთობა - დღეს მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში არსებობს და "სტილი" მათი თავისუფალი გამოყენების სტრატეგიებმა ჩაანაცვლა.

კონცეპტუალური ხელოვნების დასაწყისს რომ გადავხედოთ, ის 60-იან წლებში ჩაისახა ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც რეაქცია 50-იანებში გაბატონებულ აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმზე, რომლის ერთადერთი ინტერესი ინდივიდის "შინაგანი" სამყაროს უკიდურესად სუბიექტური - ქვეცნობიერი - გამოხატულება იყო. ამის საპასუხოდ კონცეპტუალურმა ხელოვნებამ მოიტანა გარე სამყაროს ანალიტიკური, "ობიექტური" ხედვის სურვილი, რომელთან ერთადაც "რეპრეზენტაციის" (გა-



ადგილის ისტორია, არამედ დემოგრაფია, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი, რამდენადაც ნამუშევარი, რომელსაც ვაკეთებ არის დიალოგის დასაწყისი ამ გარემოში მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ პროცესებზე. რასაც ვაკეთებ უმთავრესად კომუნიკაციის ფორმა და ვეთების პროცესში აღმოჩენილი ცოდნების გაზიარება ჩემთვის უმთავრესია.

მოსახლეების) საკითხებიც მკვეთრად გამოიხატა. კოშუტის “სკამი” და მაგრიტის “ჩიბუხი” ამის კლასიკური მაგალითებია. სადაც ობიექტი და დასავლურ ცნობიერებაში მასზე არსებული ცოდნის ფორმები: ობიექტი-იდეა, ობიექტი-გამოსახულება, ობიექტი-მატერია, მკვეთრადაა ხაზგასმული. ჩემთვის ის კონცეპტუალური ნამუშევარია საინტერესო რომელიც ფიქრის მოდელს - მექანიზმს და ხედვის ფორმებს იძლევა, რაც უკვე შემდეგ მეთოდურ შეიქლება გახდეს.

თუმცა როგორც თავად აღნიშნე დროსთან ერთად, ისევე როგორც ყველა სხვა ფიქრის მოდელის შემთხვევაში, ანალიტიკური სიცხადე ფორმალურ დოგმატურობაში გადაიზარდა და ისიც აღსანიშნავია, რომ კონცეპტუალური ხელოვნების ცალსახობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ძირითადად დასავლური ცნობიერების და ინტელექტის უპირატესობაზეა აგებული.

ჩემ პრაქტიკას რაც შეეხება, არასდროს მიფიქრია ერთ კონკრეტულ კატეგორიაში მომეცია. ასპექტები რაც კონცეპტუალური ხელოვნებიდან მივიღე არის ანალიტიკური, კვლევითი მიდგომა და ნამუშევრის მყარი, იდეური საფუძვლები, თუმცა ამავდროულად “ინტუიტიური” და “ქვეცნობიერი” წამყვანი ფაქტორებია ამ კვლევაში. ჩემი ნამუშევარი გამორიცხავს ცალსახა ინტერპრეტაციას და მისი აქტივაცია მუსტად მნახველთან და მნახველში ხდება. კითხვის ბოლო ნაწილზე რომ გავცე პასუხი, მნახველი უმთავრესი “კომპონენტი” ჩემთვის ნამუშევრის ბოლო ფაზაში. თუკი ადრე ჩემი ინსტალაციები უფრო ადგილსპეციფიკური იყო, ახლა ის კონტექსტ-სპეციფიკურია, სადაც განმსაზღვრავი ფაქტორებია არამხოლოდ საგამოფენო სივრცის არქიტექტურა თუ

საქართველო და საქართველოს სახელოვნებო სივრცე. რამდენად და რა ასპექტითაა განსხვავებული თქვენი, როგორც საქართველოში დაბადებული ხელოვნის გამოცდილება მსოფლიო კულტურულ პროცესებთან კავშირში?

ეროვნების და “ნაციის” თეორიას ყოველთვის უნდობლად ვუყურებდი, მით უმეტეს რომ ამ მცნებების დღევანდელი გაგება კოლონიალური პოლიტიკის ნაყოფია. საქართველო და ქართველობა ჩემთვის წარმოდგენილია გამოვყო მისი ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული კონტექსტებისგან, და აქედან გამომდინარე მგონია რომ ჩვენი იდენტობის უკეთ დასაზიარებლად რეგიონალური ხედვის გაფართოება საჭირო.

ამავე დროს თუ მეცნიერულ-ეკოლოგიურ ტრილში განვიხილავთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურ ჯგუფს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ჯგუფი სამი მხრიდან გარშემორტყმულია მთებით და ერთადერთი ღია ჰორიზონტი არის დასავლეთით, შავი ზღვა. მთა, როგორც დამცავი გარესამყაროსგან, ამავდროულად არის ღობე, ბარიერი. მგონია რომ საკუთარი უნიკალურობის განცდა და გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებისგან იზოლაციის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. ამავდროს ეს ჩაკეტილობა იწვევს სუბიექტის მძაფრი ინდივიდუალიზაციის და დიფერენციაციის სურვილს და კოლექტიური მოძრაობების სისუსტეს (ნუ ამაში დიდი წვლილი ჯერ კიდევ ბილომდე გაუზარებელ საბჭოთა ტრამვეზსაც მიუძღვის რა თქმა უნდა).



როგორც ამ სოციუმის ნაწილი ამ ყველა თვისებებს სხვადასხვა ხარისხით მეც ვატარებ, თუმცა კოვიდმა კიდევ ერთხელ ცხადყო რომ პლანეტარული ხედვა არის ერთადერთი შესაძლო ცნობიერება ჩვენ წინ არსებული ეკოლოგიური, პოლიტიკური, თუ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ამგვარი რთული გამონკვევები ინდივიდუალურად ან ერთი ქვეყნის პერსპექტივიდან ვერ განიხილება.

ჩემთვის ასევე გადამწყვეტი იყო სხვა გლობალური სამხრეთის ქვეყნებში ცხოვრება. ევროპასთან ალიანსი პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, მაგრამ კულტურულად, სოციალურად თუ ემოციურად გაცილებით ბევრი აქვს საერთო სამხრეთ ამერიკის თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მე პირადად ცოტა მონყვეტილად და “უფესვებოდ” ვგრძნობდი ხოლმე თავს ვინაიდან ჩემთვის იმ დროისთვის ნაცნობი იდენტობის ვერცერთ ფორმებთან ვერ ვაკეთებდი სრულ იდენტიფიცირებას, მაგრამ დროსთან ერთად უფრო ნათელი ხდება რომ ჩემი იდენტობა გლობალური სამხრეთის სენსიტიურობის, ტრანს-დუალისტური ცნობიერების და ქვიარობის ნაზავია.



ნაგუშავრის იდეა, ფორმა და შინაარსი. ლევან თქვენი საგუშავო პროცესი რომ გაგვიხიარო ამ მიმართულებით. ხშირად კროჩიტი, რომელზეც გუშავობთ კვლავაზე დაფუძნებულია და რა ეტაპებს გადიხართ სანამ დაასრულებთ ნაგუშავარს?

ყველა პროექტი ჩემთვის ადგილის მონახულებით იწყება. ძალიან მნიშვნელოვანია რომ ფიზიკურად ვიყო სივრცეში, ვიგრძნო არქიტექტურა და მისი ხასიათი, ვნახო დამთვალეფრებელი ამ სივრცეში, ასევე გარემო. ეს მეხმარება ინსტალაციის ზოგადი პარამეტრების, მასშტაბის და ხასიათის განსაზღვრაში. თუმცა აქვე დავძენ, რომ როგორც არ უნდა მქონდეს ყველა დეტალი გათვლილი, საბოლოო ფორმალურ გადანწყვეტილებებს ბოლოს ისევ ადგილზე, ინსტალაციის დროს ვიღებ.


შემდეგ უკვე იწყება სტუდიოში ინტენსიური მუშაობა. მთავარი იმპულსი ყოველთვის ახალი ცოდნის შეძენაა და ყოველთვის მაქვს რამდენიმე კითხვა რომელსაც პერიოდულად ვუბრუნდები: რა მინდა რომ ამ პროექტმა თქვას? რა მინდა რომ ამ პროექტმა გააკეთოს მნახველისთვის? რა მინდა რომ ამ პროექტმა გააკეთოს ჩემთვის? ეს კითხვები აქტუალურ სოციო-პოლიტიკურ რეალობასაც გულისხმობს და მათზე პასუხის პოვნაში მეხმარება. ამ პერიოდშივე ჩნდება თემის სპეციფიკობაც რომლის კვლევაც უკვე მასალას, მედიუმს, და ფორმატს მკარნახობს. მთავარი თემა რაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე ვიკვლევ არის ცნობიერება, მისი ჩამოყალიბების მექანიზმები და მისი გარდაქმნის საშუალებები. ანუ როგორი შეიძლება იყოს, ან რა უნდა იცოდეს ახალი ადა-

მიანის ცნობიერებამ, რომ სამართლიანობაზე, თანასწორობაზე და ემპათიაზე აგებული საზოგადოება შექმნას? აქედან გამომდინარე ვიკვლევ ფსიქოლოგიას და ტრამვასთან მუშაობას, ნეურო-პლასტიურობას, ისეთი რადიკალური გარაქმნების მაგალითებს როგორცაა მეტამორფოზი და ახალი ორგანოების რეგენერაცია (ბლასტემა), კოსმოლოგია და სხვადასხვა სპირიტუალური პრაქტიკები. ასე სხვადასხვა ცოდნაზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით იქმნება თემის თუ პრობლემის უფრო სრულყოფილი, პოლისტიკური სურათი. პროექტზე მუშაობისას გადამწყვეტი მომენტი სათაურის შერჩევაა. ვინაიდან სათაური ჩემთვის მთელი პროექტის კონცეპტუალური ღერძია, ამიტომ ფიზიკურად ნამუშევრების კეთებაზე მხოლოდ სათაურის შემდეგ შემიძლია გადასვლა. ასე რომ მთელი ეს წინამოსამზადებელი პროცესი ერთდროულად ანალიტიკურ და ინტუიტიურ მუშაობას მოიცავს. მასალის კვლევით ვსწავლობ და ვაგროვებ საგუშავო ინფორმაციას, ინტუიციით კი ვიღებ გადანწყვეტილებებს. აქვე მინდა განვმარტო ინტუიციის ჩემეული გაგება: თუკი ადამიანს განვიხილავთ როგორც მრავალუჭრედიან კომპლექსურ ორგანიზმს, ინტუიცია სწორედ ამ უჭრედული ცოდნის აკუმულაციაა. ისტორიულად დასავლური ცივილიზაცია აგებულია სხეულის დემონიზაციაზე და ინტელექტის - "ლოგიკის"- დომინაციაზე. ამიტომ გაცილებით ნაკლები მექანიზმი და პრეცედენტები გვაქვს რომ ინტუიცია გახდეს ისეთივე სრულყოფილიანი ცოდნის ფორმა, როგორც შეძენილი ინტელექტი. ამ მხრივ, ჩემთვის ძალიან საინტერესოა მაგალითად ტააფის უნივერსიტეტში პროფესორი ლივანის კვლევები უჭრედის ცოდნაზე (intelligence).

გამოფენის ინსტალაცია ერთგვარი "ხორცშესხმის" პროცესია და ყოველთვის გახსნილი ვარ მოულოდნელი აღმოჩენებისთვის. ხოლო გამოფენის გახსნით მის დახურვამდე ის ცოცხალი ორგანიზ-



მია და მხოლოდ მაშინ შემიძლია რეალურად იმის და-
ნახვა თუ რა გავაკეთე. პიერ ჰიუჟი ძალიან კარგად ამ-
ბობს: **“I don't want to exhibit something to someone, but
rather the reverse: to exhibit someone to something.”**
("მე არ მინდა ვინმესთვის რაღაცის გამოფენა, არამედ
პირიქით: ვინმეს რაღაცის გამოფენა.") ეს ძალიან ზუს-
ტად ასახავს ჩემ სურვილსაც ყოველი გამოფენისთვის.



**პიროვნული ბიოგრაფიული ასკაქიტი ხშირად
თქვენს ნამუშევრებში ნაშვანია. საზოგადოებ-
რივ თუ პოლიტიკურ თემაბთან კავშირში როგორ
შეგვიძლია განვიხილოთ დამოუკიდებელი არტის-
ტის თვითგამოხატვა თანამედროვე რეალობაში?**



ჩემთვის არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი გამეფებებინა ნამუშევარი ჩემზე ან ჩემ შესახებ. ჩემი ბიოგრაფიული დეტალები თუ ამბები მხოლოდ იმდენად საინტერესოა ან მნიშვნელოვანი ჩემთვის, რამდენადაც ის ისტორიულ, კოლექტიურ გამოცდილებებს უკავშირდება. მაგალითად პატრიარქალური ცნობიერება, რელიგიებისგან რეპრესირებული გარემო, სისტემური რღვევები (საბჭოთა კავშირის დაშლა) არის ის კონდიციები რამაც ჩვენი, როგორც საზოგადოების, მამოძრავებელი მექანიზმები განაპირობა. ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა ერთმანეთზე დამოკიდებული მრავალუჯრედიანი ორგანიზმი. ლაიტმოტივი და მიზანი არის ახალი კავშირების დანახვა და ხაზგასმა, მატერიალური და კოსმოლოგიური, ბიოლოგიური და კავშირებულობა ერთმანეთთან. ურთიერთგავლენები, კოლექტიური და პირადი გამოცდილებები ესეც ერთი ჯაჭვური პროცესია. ჩემი ნამუშევარი 89.19. 9 აპრილიდან ბერლინის კედლის დაცემამდე სწორედ ამ პოლიტიკურ ძვრებს განიხილავდა. ასევე თვითგამოხატვასთან დაკავშირებით ჩემთვის საინტერესოა ეს როგორ გამოვლინდა ცეკვაში, კერძოდ, ელექტრონულ მუსიკაში. კულტურის სხვა ფორმები - ანდერგრაუნდი, მუსიკა, კომუნალური თავშეყრის ფორმები ყოველივე ეს ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ვფიქრობ, ესაა ფოროვანი (გამჭოლი) სივრცე ჩემი გაგებით, კომუნების კავშირები. ამგვარად დღეს საერთოდ აღარ მაინტერესებს არტისტის როგორც სუბიექტური, ინდივიდუალური "შემოქმედის" იდეა. მით უმეტეს რომ თანამედროვე კულტურულ პროდუქციაში ხელოვანი ნამდვილად აღარაა ერთადერთი ელემენტი რომელიც "ხელოვნებას" ქმნის. რაც დრო გადის უფრო მაინტერესებს კოლექტიური ხედვის და შექმნის ფორმები, სადაც თითოეული ინდივიდი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მრავალუჯრედიანი სხეულში თითოეული უჯრედი და ამავდროულად ის უფრო დიდი ორგანიზმის ნაწილია. დიდ გლობალურ სურათში თვითმყოფად ახალ ფაზებზე გადასასვლელად ამ საკითხებზე დაფიქრება და ხელოვანის ამ პრიზმიდან დანახვა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.



Levani

Interviewed by Meriam Shergelashvili

(Levan Mindiashvili)



Levan, could you share insights into your artistic practice with us? Where do its roots lie? Despite evolving interests and themes, what core vision remains integral to your work?

Discovering that, according to microbiology, only 10% of the human body's cells are "purely" human, with the rest comprising various microbes, bacteria, and even matter such as star dust and ancient carbon atoms, has been a relatively recent revelation for me. It underscores the notion that the world is an ever-shifting, porous ecosystem. My primary driving force has always been a deep curiosity about the world – its forms of existence, interaction, and transformation. Despite its vast diversity, the underlying logic of movement (be it growth or development) remains constant, from the grand scale of galaxy formation to the minutest microbial cell's evolution.

Another aspect that has remained consistent over the years is my transdisciplinary, holistic approach to acquiring and disseminating knowledge. Given the complexity and nuance of the environment and our human perception of it, I find that these connections and discussions can only be adequately expressed through materially complex forms.

I must also acknowledge that from an early age, I harbored a profound skepticism towards mainstream consciousness and its typical expressions. I was never drawn to creating a "pure" painting or sculpture; instead, my interest always lay in exploring the spaces in between. As such, my stance has consistently been one of critical observation from a position of "underground" or "marginalized space," challenging the norms and conventions of the center.





Conceptual art has carved a distinct niche in art history, often prioritizing the supremacy of the idea, which may sometimes constrain the viewer's interpretation. To what extent do you align with this approach? How much consideration do you give to the audience that engages with your work?


Before delving deeper, it's essential to acknowledge that the notion of style or movement in Western art history – as a coherence of aesthetic, formal, and ideological strategies – currently persists mainly in a historical framework, with "style" having given way to strategies of their liberated utilization.

Tracing back to the inception of conceptual art in the 1960s in the United States, it emerged as a counter-response to the dominant abstract expressionism of the 1950s, which was deeply engrossed in the highly subjective expression of the individual's "inner" world. Conceptual art introduced a shift towards an analytical, "objective" examination of the external world, sharply accentuating the issues of "representation." Classic instances like Kosuth's chair and Magritte's pipe vividly illustrate this, highlighting the Western consciousness's delineation of object-idea, object-image, and object-matter. Conceptual art, for me, is particularly compelling when it serves as a thinking model – a mechanism and vision form that later becomes a method.

However, as you mentioned, over time, this analytical clarity often morphed into formal dogmatism. It's also crucial to

recognize the unique aspect of conceptual art's primary construction on the dominance of Western consciousness and intellect.

Regarding my practice, I've never confined myself to a singular category. From conceptual art, I've adopted the analytical, investigative approach and the work's robust ideological underpinnings. Yet, the "intuitive" and "subconscious" elements remain pivotal in this exploration. My work resists a definitive interpretation, engaging with the viewer to become fully activated. To address your last inquiry, the viewer is crucial in the final stage of my work. While my installations were initially more site-specific, they have evolved to be context-specific, influenced by not just the exhibition space's architecture or its history, but also by the demographic, social, and political context. The creations I bring forth initiate a dialogue on the socio-political dynamics of the environment. My art is fundamentally a mode of communication, with the dissemination of discovered knowledge during the creative process being paramount.





Reflecting on the intersection of Georgian and international artistic landscapes, could you share how your experience as an artist originating from Georgia has uniquely shaped your engagement with global cultural dynamics?

My skepticism towards the notions of nationality and nation is deep-rooted, especially given that today's interpretations are largely shaped by colonialist legacies. For me, disentangling Georgia and its essence from its historical, geographical, and cultural contexts is an impossibility. Hence, I believe that a broader regional perspective is crucial for a more nuanced understanding of our identity.

From a scientific and ecological viewpoint, considering the social group residing within Georgia's borders presents an intriguing case. Encircled by mountains on three sides, with the Black Sea offering the sole open vista to the west, the geographical layout acts as both a shield and a barrier. This paradoxical relationship with our surroundings fosters a sense of distinctiveness and separation from external world events, while also fueling a drive towards pronounced individualization and a notable frailty in collective movements – a scenario further complicated by unprocessed Soviet-era traumas.

As a member of this society, I embody these characteristics to varying degrees. However, the COVID-19 pandemic underscored the necessity of a global perspective to address the myriad ecological, political, and social challenges we face. Such intricate issues cannot be tackled in isolation or solely from a national standpoint.

Experiencing life in other Global South countries has been pivotal. While politically, an alignment with Europe might be deemed crucial for

Georgia, culturally, socially, and emotionally, we find richer affinities with South American and Middle Eastern nations. On a personal note, I've often felt somewhat adrift and "rootless," unable to fully align with any identity construct previously available to me. Over time, however, it has become evident that my identity is a fusion of Global South nuances, a trans-dualistic consciousness, and queerness.

The interplay of idea, form, and content within your art, Levan, offers a fascinating insight into your creative process. Could you elaborate on how you navigate these elements in your work? Given that your projects often stem from a research-based approach, what are the key phases you undertake from inception to the completion of a piece?


Every project of mine commences with a visit to the site. It's crucial for me to physically immerse myself in the space, to sense the architecture and its essence, observe potential visitors, and understand the surrounding environment. This immersion aids in determining the installation's overall parameters, scale, and demeanor. However, I must note that despite having detailed plans, the final formal decisions are made at the installation's culmination.

Following this, an intensive phase of studio work begins. The primary drive is always the pursuit of new knowledge. I routinely revisit a set of questions: What message do I want this project to convey? What impact do I wish for it to have on the viewer? What growth do I seek from it personally? These inquiries, grounded in the current socio-political climate, guide me towards finding answers. During this phase, the topic's specificity emerges, directing the choice of materials, mediums, and format.

For the past four years, my focus has been on exploring consciousness – its formation mechanisms and transformation means. Essentially, what knowledge or consciousness does a new era demand to foster a society rooted in justice, equality, and empathy? This inquiry leads me to delve into psychology and trauma work, neuroplasticity, radical phenomena like organ regeneration (blastema), cosmology, and various spiritual practices, constructing a holistic understanding of the subject or issue at hand.

A pivotal step in project development is selecting a title, serving as the conceptual core around which the project revolves. Only after finalizing the title can I proceed to the physical creation of the artwork. This preparatory stage intertwines analytical and intuitive efforts. Material research and information gathering go hand in hand with intuitive decision-making. My perspective on intuition views it as the aggregated knowledge of our multicellular complexity. Western civilization often prioritizes intellect over the body, hence relegating intuition to a lesser form of knowledge compared to acquired intelligence. In this context, Professor Levin's research at Tufts University on cellular intelligence greatly fascinates me.

The exhibition's installation is a manifestation process, always leaving room for serendipitous discoveries. From



the opening to the closing of the exhibition, it transforms into a living entity, allowing me to fully comprehend my creation. Pierre Huyghe's notion,

"I don't want to exhibit something to someone, but rather the reverse: to exhibit someone to something,"

resonates deeply with my approach, capturing the essence of my aspiration for each exhibition.

Your works frequently incorporate a strong personal and biographical dimension. In the context of contemporary reality, how do you view the role of an independent artist's self-expression, especially in relation to social and political issues?

The focus of my work has never been solely on personal narratives or autobiographical elements. To me, my own stories hold significance only when they intersect with broader historical and collective experiences. Issues like patriarchal structures, the suppressive forces of religion, and systemic upheavals (such as the dissolution of the Soviet Union) have shaped our societal dynamics. I am fascinated by the interdependence of multicellular organisms and aim to uncover and emphasize novel connections and the intricate web of material, cosmological, and biological interrelations. The interplay of mutual influences, along with collective and personal experiences, constitutes a continuous process.

My work, "89.19," which spans from the events from April 9 through the fall of the Berlin Wall, delves into these very political transformations. Additionally, the expression of self through dance, particularly within electronic music, captivates me. The underground culture, music, and communal gatherings represent areas of deep interest. In my view, these realms epitomize a porous space of communal linkages.

Consequently, the notion of the artist as a solitary, subjective "creator" no longer appeals to me, especially as modern cultural production has evolved to a point where the artist is just one of many contributors to "art." Over time, my interest has shifted towards collective creativity and vision, where each individual's contribution is as vital as each cell in a multicellular organism, yet simultaneously part of a larger whole. Embracing these concepts and envisioning the artist through this broader lens is paramount for advancing to a new stage in the global narrative.



ხ ა თ უ ნ ა ხ ა ბ უ დ ი ა ნ ი

ს ა რ ი ს ა რ ი ტ ა ვ ი მ
ნ ა შ რ ო ბ ი –

ვ ი ზ უ ა დ უ რ ი
ნ ი შ ნ ე ბ ი ს
ტ რ ა ნ ს ჯ ო რ ბ ა ვ ი ა


ს რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ა დ ა ტ ე ქ ს ტ ი ი ხ ი ლ ე თ ბ მ უ ლ ზ ე :

<https://eprints.iliauni.edu.ge>

ქსეპტი




მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტ-მოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში - წარმოადგენს უახლეს ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესის კვლევას. ნაშრომი მოიცავს პერიოდს 1990-იანი წლებიდან დღემდე, ანუ იმ მომენტიდან, როცა საქართველომ დაიწყო ახალი ისტორია დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით და თითქმის ყველა მანამდე არსებული ინსტიტუცია, სოციალურ-კულტურული ურთიერთობების მოდელები ან საერთოდ გაუქმდა, ან ცვლილებების გზას დაადგა. ქართული ვიზუალური ხელოვნების თვითგანსაზღვრა, ახალ მოცემულობაში საზრისის ძიება უშუალოდ უკავშირდება საერთაშორისო სახელოვნებო პროცესებთან ურთიერთობების გზების პოვნისა და სამოქმედო სივრცის გაფართოების მცდელობებს. ამ მცდელობებს წინა ისტორიაც ჰქონდათ, - მიუხედავად საბჭოთა ცენზურისა, რეჟიმის პირობებშიც არსებობდნენ ის ხელოვნები, ვინც თავისი დროის აქტუალური ხელოვნებით იყვნენ დაინტერესებულნი და თვითონაც ქმნიდნენ ნონკონფორმისტულ ხელოვნებას, ხოლო პერესტროიკის პერიოდში უკვე ცალკეული ჯგუფებიც გამოჩნდნენ, რომლებიც იზოლაციის პერიოდში გამოტოვებული გამოცდილებების გადააზრებას შეუდგნენ და საკუთარ კონტექტში მათი ჩართვით ექსპერიმენტების შემოტანა გადაწყვიტეს. პოსტმოდერნისტული ხელოვნების მთავარ მახასიათებლად ფორმებისა და მედიუმების უკიდურესი ლიბერალიზაცია განიხილება; ვიზუალურ ხელოვნებაში ჩვენი დროის ხელოვანი სურვილისამებრ ირჩევს მედიუმს, ფორმატს, კონტექსტს. მას შეუძლია არჩევანის მიხედვით იმუშაოს ვიდეო არტში, ინსტალაციის ფორმატში, ახალი მედიები გამოიყენოს, აკეთოს ტრადიციული ფერწერისა და გრაფიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები, ან მედიუმების სინთეზით იმუშაოს. აღარ არსებობს შეზღუდვები ან დაკანონებული ესთეტიკური ნორმების დაცვის მოთხოვნები. თავისუფლების ეს ხარისხი იმ ინფორმაციის






უსასრულო ნაკადთან ერთად, რაც ახალმა მოცემულობამ მოიტანა ერთგვარ პრობლემად იქცა პოსტტოტალიტარული ქვეყნების კულტურული ზოგადი პროცესებისათვის. ქართული სახელოვნებო სივრცისთვისაც არ იყო იოლი ახალი პირობების მიღება და იმ საერთაშორისო არტ სცენის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლის შედეგადაც ის თანადროული ხელოვნების აქტუალური პროცესების თანაბარუფლებიანი წევრი გახდებოდა. ქართული თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ისტორია რთულ კონტექსტში ვითარდება და სირთულეს ამძაფრებს ამ თემამე არსებული კვლევების სიმცირე, არტ კრიტიკის ფრაგმენტულობა, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თანამედროვე ხელოვნების კვლევების მეთოდოლოგიები ადგილობრივი სახელოვნებო სივრცის მხოლოდ ძალიან მცირე ჯგუფისთვის არის ცნობილი. საბჭოთა ისტორიის მანძილზე აღიარებული იყო როგორც მხატვრული ხედვის ერთი მოდელი, გამოხატული სოციალისტურ რეალიზმში, ასევე მხოლოდ ერთი თეორიული მიდგომა სტილისტური ანალიზის სახით. ამ ბაზით შეუძლებელია თანამედროვე ხელოვნების წაკითხვაცა და შექმნაც. ამასთან, პოსტ-ტოტალიტარული ქვეყნების თანამედროვე ხელოვნება თავის სპეციფიკასაც ატარებს და კვლევის არსებული დასავლური და 2 ამერიკული ტრადიციის ცოდნასა და გააზრებასთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია ის მხარე, რომელსაც ლოკალური კონტექსტი განაპირობებს. ნაშრომში გადმოცემული უახლესი ქართული ვიზუალური ხელოვნების სურათი მოიცავს უშუალოდ თანამედროვე მხატვრული ენის გაცნობა-გააზრების პერიოდებს, პირველ ექსპერიმენტებს და პრეგნენტაციის ფორმების ძიებას. განხილულ პროცესს თან ახლავს რეფლექსიური მუშაობის მკვდლობების გააზრება, რომელიც ავთენტური მხატვრული ფორმის შექმნისა და საკუთარი კონტექსტის იდენტიფიკაციის, საერთაშორისო პროცესების მონაწილედ ქცევისაკენ იყო მიმართული. ქართული თანამედროვე ხელოვნების ფორმები და კონცეფციები, აღმოცენებული პოსტმოდერნისტული კულტურის გავრცობის ფარგლებში, სახელოვნებო სფეროს განვითარების გარდა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს სეგმენტი შემადგენელი ნაწილია უახლესი ქართული ისტორიის მანძილზე მიმდინარე მთავარი დისკურსისა, რომელიც გარდამავალ პერიოდს უკავშირდება და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მონაწილეა. ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ მონოგრაფიას, რომლის მეთოდოლოგია კონცეპტუალურ ანალიზს ეყრდნობა, სადაც განმსაზღვრელია სპეციფიკური კონტექსტის ფაქტორი.

ნაშრომის დაცვა - 2016 წ.



Full version of the text please find on this link: <https://eprints.iliauni.edu.ge>
The thesis was defended in 2016

HISTORICAL DISCOURSE



KHATUN
KHABULIANI

THESIS:
TRANSFORMATION OF VISUAL SIGNS:
ARTISTIC FORMS AND CONCEPTS IN
GEORGIAN VERSION OF POSTMODERN ART

ABSTRACT

The thesis presented below –

Transformation of visual signs: artistic forms and concepts in Georgian version of postmodern art

– is research focused on a process going in Georgian contemporary visual art. The work covers the period from 1990-ies to nowadays, i.e.

when Georgia began the new history by declaring independence and all institutions or forms of social-cultural relations were destroyed or started look for ways of modernization.

Self-definition of Georgian visual art and its search for meaning in new reality is connected with attempts to build connections with international art processes and widening of activity area. Those attempts were based on prehistory in Soviet times where despite the strong censorship there were some artists were interested in actual art and do nonconformist works, later some avant-garde groups appeared in Perestroika times who started to rethink all missed experiences of years of isolation, as they intended to insert them in their local context through different experiments.

Postmodern art expresses itself as the most liberated vision where artist is extremely free to choose different mediums, formats, contexts. He/she can decide to do installations or video art, do works in new media or by using traditional painting or graphic techniques or combine mediums. There are no limitations or demands to obey established aesthetic rules.

The quality of freedom beside the endless stream of information which was brought with new reality became a kind of obstacle for cultural processes in post totalitarian countries in whole. For Georgian art scene was not easy to receive new conditions and answer requirements of international art world in order to be a equal member of processes of contemporary art.


Georgian contemporary art is evolving in a very complicated context and the situation becomes more problematic because of lack of different research works, almost absence of art criticism; It's a result of fact that methodologies interpreting contemporary art are familiar for a very few representatives of local art space. Soviet tradition was recognizing only one artistic way of seeing embodied in socialist realism and the only theoretical method as stylistic analysis. This base is not enough to read or create contemporary art and beside this the art in post socialist situation has its specific features that are why it's necessary to consider characteristics defined by local context.



საგან-საგანო მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები.



საგან-საგანო მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები.



საგან-საგანო მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები. მუშაობის პროცესი და მისი შედეგები.





The picture of Georgian contemporary visual art displayed in the thesis includes periods of introducing and rethinking artistic alphabet of contemporary art, the first experiments and searching forms of presentation. Examined period was accompanied with efforts of analytical works in order to create authentic forms, to identify own context and enter in the process of international art world. Forms and concepts of Georgian contemporary art arisen in the stretching conditions of postmodern art is important not only from the standpoint of art sphere's development but also it has another meaning as this segment mentioned here is a consisting part of ongoing discourses connected with transitional period and is presented as one of the participants in transformation of society's consciousness. The thesis is presented in a format of historical monograph based on conceptual analysis, where the context reveals as a defining point of issue



1980-იანი წლების
სახელოვნებო
სივრცე

საქართველოში
და მიმდინარე
შემოქმედებითი

პროცესები *აბსტრაქცი*

ტექსტი დაინერა 2021 წელს სახელოვნებო ორგანიზაცია პროპაგანდას
ინიციატივითა და ხელშეწყობით, სრული ვერსიის გასაცნობად იხილეთ ბმული:

<https://archive.propaganda.network/ka/overview/period/2>



1970-1980-იანი წლების მიჯნა და 80-იანი წლების მეორე ნახევარი - „პერესტროიკა“ პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობის დროა. ზოგადად, 1980-იანებში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები ყველა სფეროს შეეხო და, ცხადია, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებზეც არსებითი გავლენა იქონია.

1980-იანი წლების შემოქმედებით პროცესებზე დაკვირვებისას ნათლად იკვეთება ორი ეტაპი: პირველი 1970-1980-იანი წლების მიჯნაზე, ხოლო მეორე უშუალოდ 1984-1985 წლებისთვის ჩნდება თბილისის არტ სცენაზე. პირველი ტალღის მხატვრებს სახელოვნებათმცოდნეო კვლევებში 1980-იანელთა თაობის სახელით მოიხსენიებენ, მათში მოიაზრებიან ისეთი მხატვრები როგორებიც არიან ირაკლი ფარჯიანი (1950-1991), ლევან ჭოლოშვილი (1953), გია ბუღაძე (1956), მერაბ აბრამიშვილი (1957-2006), გია ეძგვერაძე (1953), ლუკა ლასარეიშვილი (1957), ილიკო ბაუტაშვილი (1952), ირაკლი სუთიძე (1954), ლევან ლალიძე (1958), ჯემალ კუხალაშვილი (1952), შალვა მატეაშვილი (1958), გია გუგუშვილი (1952) და სხვები.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში, უკვე პერესტროიკისთვის საქართველოში მსგავსად სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა, არტ-სივრცე კიდევ უფრო მრავალფეროვანი და გახსნილი გახდა. ამ დროს გარკვეული დაბნეულობა, ქაოტურობა და დაჩქარებული ტემპი ახასიათებს. ეს მცირე მონაკვეთი მრავალმხრივი კონტექსტით დატვირთული აქტივობების სიმრავლით გამოირჩევა და ქმნის ერთგვარ „რევოლუციურ“ ეფექტს ხელოვნებაში, რომე-

*თანამედროვე ხელოვნება
წარმოადგენს პასუხისმგებლობის
გაჩუქ. ამ პასუხისმგებლობის
საზოგადოებრივი და ცივილიზაციური
ხელშეწყობის უპირობო პირობებია*

„თანამედროვე ხელოვნება
და ქართული ავანგარდი“

კაილო კაჭანავა

ლიც მკაფიოდ ხილული იყო, როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

ამ პერიოდისთვის მეტად სახასიათო მოვლენაა მხატვართა კოლექტივების დაფუძნება და არტისტთა ერთობლივად, საერთო სივრცეში მუშაობის პრაქტიკის დანერგვა. გაერთიანებები ფორმდება როგორც არაოფიციალური, ინერტული სახით, ისე წინასწარ შედგენილი მანიფესტაციებისა და ღირებულებების გარშემო. სახასიათოა, რომ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში თანადროულად დაარსებული გაერთიანებებისგან განსხვავებით, ქართულ რეალობაში ე.წ. ჯგუფებისთვის საბაზისო ელემენტი ექსპერიმენტი, სწავლა და აღმოჩენაა. ამდენად, მათი შემოქმედება ამ წლების მანძილზე არსებითად საკუთარი შესაძლებლობების, გამოცდილების, ინტუიციის, შემოქმედებითი პოტენციალის თვითრეფლექსიისკენაა მიმართული, ვიდრე გარემოსა და სოციუმზე. ამდენად, მათი მხატვრული ესთეტიკა შემოქმედებითი პროცესის შიგნითვე რჩება და პირდაპირი სახით არ რეფლექსირებს არსებული გარემოს გამოწვევებზე. ჯგუფებისთვის მხატვრული ძიებების არსებითი მამოძრავებელი დასავლური ხელოვნების გამოცდილება და კონტექსტია.

1980-იან წლებში დაარსებული პირველი გაერთიანება ჯგუფი „არქივარიუსია“, რომელშიც ერთიანდებოდნენ მხატვრები: მამუკა ცეცხლაძე, გია ლორია, გოგა მადლაკელიძე და ვარლო ვაჭარავა. მათ პირველი გამოფენა 1984 წლის დეკემბერში გია ლორიას სახელოსნოში გამართეს. გუფის წევრები 1985 წლიდან იფინებოდნენ სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებზე. 1986 წლის მარტიდან კი მხატვრები მუშაობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მე-10 სართულზე განთავსებულ სხვენში აგრძელებენ. ამდენად, ჯგუფი „მე-10 სართული-ს“ ჩამოყალიბების თარიღად 1986 წლის მარტი შეგვიძლია მოვიხაროთ. „არქივარიუსისგან“ განსხვავებით, „მე-10 სართული“ სპონტანური გაერთიანება იყო. მე-10 სართულის ჯგუფის თავდაპირველი შემადგენლობა ამგვარად შეგვიძლია განვსაზღვროთ: მამუკა ცეცხლაძე, მამუკა ჯაფარიძე (1962), ვარლო ვაჭარავა, ოლეგ ტიმჩენკო (1957), ნიკო ცეცხლაძე (1959). ჯგუფში ასევე ჩართულნი იყვნენ გია ლორია და გოგა მადლაკელიძე, თემურ იაკობაშვილი, გია დოლიძე, ლია შველიძე, მაია ცეცხლაძე და ზურაბ სუმბაძე. თუკი ჩვენ ამ ჯგუფს განვიხილავთ, როგორც ერთიან სისტემას, რომელშიც ერთობლივი მუშაობის პრინციპი და ექსპერიმენტირება იყო ამოსავალი და, ამასთან რიგი მხატვრების 1986-1987 წლების ნამუშევართა სტილისტურ მსგავსებას დავაკვირდებით, აშკარაა, რომ მამუკა ცეცხლაძის, ნიკო ცეცხლაძისა და ოლეგ ტიმჩენკოს ხედავ ერთიანი პრინციპებიდან მომდინარეობს. ჯგუფის წევრები „ახალ ფურაცას“ სხვადასხვა პერსონაჟის პორტრეტებს უდებენ საფუძვლად. ისინი გამოსახვენ მეფეებს, ჯუჯებს, რაინდებსა და დემონებს. მათი მიდგომა იოვალისწინებს არა პერსონაჟთა პორტრეტული ინდივიდუალისტური სახეების ფორმირებას, არამედ მათი სახე-ხატების ნეოექსპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი მანერით გამოსახვას. ამ პერიოდში ასევე ხშირად ვხვდებით ცხოველთა გამოსახულებებს, რომელთაც თითქმის სრულად აქვთ შევსებული სასურათე სიბრტყე. უფრო მოგვიანებით კი მათი გამო-


სახელებები საერთო კომპოზიციის შემადგენელი ნაწილი ხდება. 1986-1987 წლებში მხატვრები, რომლებიც ჩართული არიან ჯგუფის მუშაობაში, ექსპერიმენტირებენ უჩვეულო მასალებით, იყენებენ სამეურნეო საღებავებს, რკინას, ხეს, ნახშირს, ემულსიას და გუაშს. მე-10 სართულის ნამუშევართა უმრავლესობა მეყაობზე ექსპერიმენტული მასალის გამოყენებით იხატებოდა. მეყაოს ფორმატები თამამი ექსპერიმენტების გავრცელების საშუალებას იძლეოდა. ახალგაზრდა მხატვრებისთვის ერთ ჯგუფად გაერთიანება ერთგვარი გამოსავალი და თვითგადარჩენის, განვითარების სპონტანური გადანაცვებელი იყო.

1987 წლიდან ჯგუფი „მე-10 სართული“ სამუშაოდ მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოში გადავიდა, სადაც მამუკა ცეცხლაძემ მხატვარ-დეკორატორად დაიწყო მუშაობა. ამდენად, მას მიეცა საშუალება არსებული სივრცე თავისუფლად გამოეყენებინა და იქ სხვა მხატვრებთან ერთად ემუშავა. მამუკა ცეცხლაძისთვის და მთლიანად ჯგუფისთვის ამ სივრცის გამოყოფაში დიდი იყო გია ბუღაძის წვლილი. არსებულ კვლევით ტექსტებისა თუ სტატიების უმეტეს ნაწილში ყველგან ხაზგასმულია, რომ მარჯანიშვილის სახელოსნო არსებითად „მე-10 სართულის“ ჯგუფის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს შეცვლილი ადგილმდებარეობით, შემადგენლობითა და განსხვავებული მიდგომებით. ჯგუფში აქტიური მუშაობა დაიწყო ლია შველიძემ, ჯგუფს შეუერთდა ვოკა რამიშვილი, პერიოდულად სახელოსნოში მოდიოდნენ და მუშაობდნენ სხვა მხატვრებიც. მარჯანიშვილის კოლექტივის მუშაობის სტილი რადიკალურად განსხვავდება წინა პერიოდის პრაქტიკისგან. აქ მხატვრები უპირატესობას ანიჭებენ მონუმენტური ფორმატის ტილოზე მუშაობას, ექსპერიმენტირებენ სხვადასხვა მასალებზე, იყენებენ სამშენებლო საღებავებს, აწყობენ აქცია-პერფორმანსებს და ქმნიან საინტერესო ობიექტებს.







1980-იან წლებში ადგილობრივი გამოფენების გარდა, ჯგუფის წევრები იფინებოდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით აღსანიშნია ისეთი ექსპოზიციები როგორებიც იყო 1989 წელს ქ. ბუდაპეშტში გალერეა „Black and White“-ში წარმოდგენილი გამოფენა, 1988 წლის ნარვის საერთაშორისო ავანგარდული ხელოვნების სიმპოზიუმი, ქ. ლენინგრადში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა სახელმწიფო ეთნოგრაფიის მუზეუმში 1989 წელს ჩასული გამოფენა სახელწოდებით „1980-იანი წლების ქართული ავანგარდი“ და სხვა.



1980-იან წლებში თბილისის არტ სცენაზე მიმდინარე პროცესები, მიუხედავად მათი ქაოსური და სპონტანური ხასიათისა, ნათლად ამჟღავნებს ახალგაზრდა თაობის საბჭოთა სივრციდან „გაღწევის“ სურვილს და ამავდროულად ისტორიული მემსიერების შენარჩუნების, დაცვის ინტერესს. მხატვართა გარკვეულმა წრემ გამოსავალი ემიგრაციაში იპოვა, ნაწილმა კი თვითგადარჩენისთვის აუცილებელი გამოსავალი ჯგუფების ფარგლებში, ერთად მუშაობის პრინციპში დაინახა. 1980-იანი წლების მხატვართა გაერთიანებები „არქივარიუსი“ და „მე-10 სართული“ („მარჯანიშვილის სახელოსნოს პერიოდის“ ჩათვლით) ორ სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალურ და კულტურულ ველში წარმოიშვა. მეტიც, თუ კი „მე-10 სართულის“ პირველ და მეორე (მარჯანიშვილის სახელოსნოს) პერიოდს ერთმანეთს შევადარებთ, გამოჩნდება, რომ არა მარტო მხატვრული სტილისტიკა განიცდის ცვლილებას, არამედ 1989-1991 წლებისთვის კონცეპტუალურად განსხვავებული ესთეტიკა შემოდის. დასაწყისში ვახსენეთ, რომ „პერესტროიკამ“, მიუხედავად იმისა, რომ მცირე დროის მონაკვეთს მოიცავდა, თავისი მნიშვნელობით და ტემპით განსაკუთრებული გარემო შექმნა, სადაც თითქოს მანამდე ჩრდილში მიმდინარე პროცესები ერთბაშად ხილული გახდა. ქართულმა ავანგარდმა მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბების საკმაოდ დიდი გზა ერთ ათწლეულში გაიარა და ნათლად გამოავლინა პოსტმოდერნისტული იერი, რომელიც, მისი ისტორიული თუ ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გამო, დასავლური მოდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია.



THE ART ENVIRONMENT AND CREATIVE PROCESSES IN 1980s GEORGIA

Abstract



The text was commissioned by art organization Propaganda network in 2021 and full version is available on this link: rb.gy/wkn2av

Contemporary ART is unimaginable without responsibility. The limits and burdens of this responsibility for the artists are invisible.

KARLO KACHARAVA

Contemporary Art and Georgian Avant-Garde

1970s-1980s (especially the second half) has been perceived as a period of "Perestroika" which appears to be of vital importance to the post-Soviet environment. Certain general socio-political events that took place in the 1980s affected all life areas and apparently ongoing Georgian cultural processes did not serve as an exception.

A creative timeline of the 1980s can easily be analyzed as a two-stage scenario. The first phase would be considered around mid 1970s-1980s, while the second one – emerging specifically in 1984-1985. Artists of an earliest wave have been mentioned in art history research papers as "1980s Generation" representatives, including notable painters such as Irakli Parjiani, Levan Chogoshvili, Gia Bughadze, Merab Abramishvili, Gia Edzgeradze, Luka Lasareishvili, Iliko Zautashvili, Irakli Sutidze, Levan Laghidze, Jemal Kukhalashvili, Shalva Matuashvili and Gia Gugushvili.

For initial front men of the 1980s, creative processes flowed in a distinctive direction. They could even be classified as certain groups, according to their respective areas of interest. E.g., a cluster formed around Georgian artist, Shura Bandzeladze, was fascinated by Eastern philosophy and abstraction, including Gia Edzgeradze, Iliko Zautashvili, Luka Lasareishvili, Gela Zautashvili, Gia Mgaloblishvili and others. Another circle was highly captivated by the theme of Christianity, its philosophy and history, constantly thinking about the ways of reconnecting with eternal spirituality. This so-called union involved Gia Bughadze, Levan Chogoshvili, Irakli Parjiani and Merab Abramishvili.



In the second chunk of 1980s, throughout "Perestroika", a space for Georgian art gradually became more diverse and open alongside being chaotic and confusing. Processes were accelerated, a number of activities were conducted occasionally. Overall, it gave a revolutionary scent to an art scene, accessible to a broader audience as well as Soviet government.

By then, artistic unions were a common practice that centered around creating collaboratively in a shared environment. Some of these coalitions were informal and internal, while others were based on preceding manifestations and similar values. Unlike similar associations of other Soviet countries, these were driven by the will of experimenting, learning and exploring. Thus, Georgian 1980s aesthetics remained in the process of producing itself, without reflecting on challenges that surrounded them. Their creative quest was primarily guided by the Western art expertise and context.

The earliest group founded in the 1980s was "Archivarius" that united Mamuka Tsetskhladze, Gia Loria, Goga Maghlakelidze and Karlo Kacharava, who generated their own manifesto. They held an introductory exhibition in 1984,



December, in Gia Loria's own apartment. "Archivarius" mainly focused on fairytales, mythology and an expression of a heroic, knightly soul. It was followed by a series of other displays of their works, which led to 1986 - a year in which "The 10th Floor" popped up. It was an innovative union, working in the attic of The State Academy of Arts. In contrast with "Archivarius", "The 10th Floor" was much more spontaneous and fused artists like Mamuka Tsetskhladze, Mamuka Japaridze, Karlo Kacharava, Oleg Timchenko, Niko Tsetskhladze, Gia Loria, Goga Maghlakelidze, Temur Iakobashvili, Gia Dolidze, Lia Shvelidze, Maia Tsetskhladze and Zurab Sumbadze. "The 10th Floor" was never limited to these artists, some have left and some have joined over time - it was never meant to be fixed or even precise. However, another exhibition held on 25th of June of 1986, in Mamuka Japaridze's studio, only featured artworks of Mamuka Tsetskhladze, Niko Tsetskhladze, Karlo Kacharava, Oleg Timchenko, Maia Tsetskhladze, Mamuka Japaridze and Temur Iakobashvili. These pieces of art included portraits of kings, dwarfs, knights and demons. Members wanted to access neoexpressionist manners of depiction, rather than just form individualistic faces for these characters.



Arranging a group was a form of survival for young artists, an outcome that they were searching for. It also served as a portal towards further development and self-realization, through shared experiences. The next phase of "The 10th Floor" was filled with demonstrations, performances and massive shows.

A broad audience first saw their show in Tbilisi History Museum, which included two vast expositions. Since 1987, "The 10th Floor" moved its working habitat to The Marjanishvili Theatre, as Mamuka Tsetskhladze started working there as a painter-decorator. Therefore, 1987-1990 can be considered as a "The Marjanishvili Studio" phase of "The 10th Floor", with renewed approach. Lia Shvelidze, mentioned earlier, began working more actively, Koka Ramishvili joined the group... Artists proceeded working on huge canvases, experimenting with different materials, with the paint used for constructions still remaining relevant.

Other than shows of local importance, "The 10th Floor" also used to take part in international art events. In 1989, "Black and White Gallery" of Budapest hosted Mamuka Tsetskhladze, Mamuka Japaridze, Oleg Timchenko, Niko Tsetskhladze and Koka Ramishvili with an exposition. In the same year, Koka Ramishvili visited Leningrad (Saint Petersburg) too, as The Soviet Socialist State Ethnographic Museum opened up an exhibition presenting Georgian avant-garde of the 1980s. A year earlier, the same union (with an extended number of members) participated in an international symposium of Narva dedicated to avant-garde art. A lot of new-comers joined "The 10th Floor" in 1991, organizing an exhibition titled "America 500" together, after which, unfortunately, the unity principle of the group was lost.

All the events that took place in 1980s art scene of Tbilisi, portray the vigorous willingness to hasten away from the Soviet dimension and maintain memory of a historical discourse. Some artists found a way out through emigration, others discovered an intangible shelter via working collectively. "Perestroika" had clearly formed a special environment in which things that were previously unseen, became visible. Georgian avant-garde managed to create its own sui generis aesthetic and theoretical principles in just a decade, alongside expressing postmodernist hues at certain points.

Ո Ը Ո Վ Մ Ք Ն Ս Ց Տ Ն Պ Յ Ո Ը Ո

ՀՄԸՅՅԳՈՅԻՈ
ՅՈՅՆՄՔՈ ԸՆ
ՅՈՒՆՍԸՈ
ՅՆԼՍԵՈՆ
ՅԾՅԾԸՄԾՆ



მედიის გენეზი

ტექსტი არის ნანეცხტი კატალოგიდან
„როგორ დავეწიოთ მკვდარ კურდღელს“

„... ჩვენი აქტიურობა მიმართულია მანკიერი საზოგადოებისა და იდეოლოგიის მიერ თავს-
მოხვეული პირობითობების დისკრედიტაციისკენ. ხელოვნება, რომელიც აღმოცენდება გახ-
სნილობის, თანაგრძობის და თავისუფალი ქმედების შედეგად, მოვლენათა ტოლფასია. ხე-
ლოვნება აღარ არის ესთეტიკური, მორალური, დამრიგებლური, მოკრძალებული. დღეს ის
მოითხოვს აქტიურ პოზიციას...“, ვკითხულობთ ილიკო ზაუტაშვილის გასული საუკუნის 70-
ანი წლების მანიფესტში, რომელიც კარგად გამოხატავდა ახალგაზრდა ინტელექტუალების
ერთი ნაწილის დამოკიდებულებას საბჭოთა ტოტალიტარიზმის, ცივი ომის და თანამდევ
პროცესების მიმართ. სწორედ ამ დროს ყალიბდება საქართველოში მხატვრის ახალი ტიპი,
რომელიც კოლექტიურ „ჰიპნოზს“ თავისუფალ ნებას და პიროვნულ პასუხისმგებლობას უპი-
რისპირებს. ცხადია, მათი ნამუშევრები არსად ჩანს იმ დროის ოფიციალურ გამოფენებზე. სა-
კუთარ შეხედულებებზეც ისინი მხოლოდ თანამოაზრეთა ვიწყო წრეში საუბრობენ. ეს 1950-
1960-ან წლებში დაბადებულ მხატვართა ის თაობაა, რომელიც 1980-ან წლებში მომხდარ
მნიშვნელოვან ცვლილებებს მომზადებული ხვდება და პოსტსაბჭოთა ეპოქის ახალ ილუზიებ-
საც რეალური გამოწვევების გზას ამჯობინებს.

1980-1990-ანი წლებიდან ილიკო ზაუტაშვილის მოღვაწეობა მეტწილად საზღვრებს მიღმა
ინაცვლებს. საერთაშორისო ჯგუფური და სოლო გამოფენებით სხვადასხვა ქვეყნის გალერე-
ებში, მუზეუმებსა და სახელოვნებო ცენტრებში: შვეიცარია, გერმანია, დანია, საფრანგეთი,
დიდი ბრიტანეთი, აშშ, საბერძნეთი, ბელგია, ნიდერლანდები, თურქეთი, პოლონეთი, რუსე-
თი, ტაივანი, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, ბრაზილია, იტალია, ბოსნიაჰერცეგოვინა.

ზაუტაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ერთი და იგივე ნამუშევ-
რის ვიზუალური სტრუქტურის ცვლილებით, სხვადასხვა მნიშვნელობის შექმნის მცდელობაა.
ამით ის თითქოს მიაწინებს, რომ მნიშვნელობა არა მხოლოდ საგნებით, არამედ ამ საგნების
ურთიერთობით მიიღწევა და ხელოვნება არა უშუალოდ საგანში, არამედ საგნებზე ჩვენს
წარმოდგენებშია. „ხელოვნება რომელსაც მე ვეძებ, პოლარულ მოვლენებს შორის ჩნდება
და გლობალურ თემებს ეხმაურება. დამოკიდებლობა და თავისუფლება სწორედ ის პირო-



ბებია, რომელზეც პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობა უნდა აიგოს. ხელოვნება რეალობასთან შეხების და ახალი იდეების გამოვლენის საშუალებაა. ჩემი მიზანი ახალი მნიშვნელობების აღმოჩენაა, რომელიც ცხოვრების დაფარულ და პარადოქსულ კონტექსტს ავლენს“- ამბობს მხატვარი.

ადამიანური განზომილება, მეტაფიზიკურის კვლევა და მუდმივი ტრანსფორმაცია ილიკო ზაუტაშვილის შემოქმედების სამი ძირითადი მიმართულებაა. ის მულტიმედია საშუალებებით მანიპულირებს, რისთვისაც განსხვავებულ კონტექსტს იყენებს. ტექსტი, ობიექტი, იმიჯი, სივრცე და ხმა მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. მხატვარი თავის ნამუშევრებში ცდილობს განავრცოს თანამედროვე ესთეტიკა, რათა თქვას უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ემპირიული ან სენსიტიური გამოცდილება. ერთი რამ, რაც მხატვრის ყველა ნამუშევარს აერთიანებს ისაა, რომ ისინი არ არიან ამა თუ იმ პრობლემის მხოლოდ ილუსტრაცია ან ციტირება. მისი ნამუშევრები ყოველთვის ტოვებენ ადგილს ინტერპრეტაციისა და ფანტაზიისთვის. მისთვის ხელოვნება, ისევე როგორც ცხოვრება, ყველაზე მოულოდნელი შეკითხვებისთვის განკუთვნილი სივრცეა, შეკითხვებისთვის, რომლებიც უპასუხოდ დარჩენის შემთხვევაშიც კი, თითქმის ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან თანამედროვეობაზე.



magda guruli

THIS TEXT IS AN IMAGE

Collective hypnosis & personal responsibility

EXCERPTS FROM THE CATALOG „HOW TO CATCH UP WITH A DEAD HARE “

iliko zautashvili

"... Our activities aim at discrediting the conditions imposed by the ideology. The art, resulting from openness, compassion, and freedom is itself a significant event. Art is no longer aesthetic, moral, didactic or modest. Today it demands an active position ..." reads the manifesto of Iliko Zautashvili in the 1970s. It clearly expresses the attitudes of a certain part of young intellectuals of the time towards the Soviet totalitarianism and the Cold War. It is at this time that a new type of artist is emerging in Georgia, who puts the free will and personal responsibility against the collective "hypnosis". Their works are nowhere to be seen at the official exhibitions of the time. They can speak openly only in small circles of like-minded people. This generation of artists, born in the 1950s and 1960s, was prepared for the significant changes that occurred in the 1980s and favored real challenges over the new illusions of the post-Soviet era.





From the 1980-1990s Iliko Zautashvili's activity has largely shifted to the West. He participates in many international group exhibitions and solo shows in well-known galleries, museums, and art centers in Switzerland, Germany, Denmark, France, Great Britain, the USA, Greece, Belgium, Netherlands, Turkey, Poland, Russia, Taiwan, South Korea, Luxembourg, Brazil, Italy, and Bosnia-Herzegovina.

One of the hallmarks of Zautashvili's artwork is to attempt the creation of different meanings by changing the visual structure of the work. In so doing, he seems to argue that meaning is achieved not only by objects but also through the relationship between objects and that art is not in the objects but in our conception of subjects. "The art I'm looking for reveals itself amid contradictory events and responds to global issues. Independence and freedom are the conditions upon which the relationship between the individual and society must be built. Art is a way to get in touch with reality and discover new ideas. My goal is to reveal new meanings which disclose the hidden and paradoxical context of life," says the artist.

The human dimension, metaphysical research, and constant transformation are the three main characteristics of Iliko Zautashvili's artwork. He navigates through multimedia means and employs different contexts. Text, object, image, space, and sound are equally important to him. In his works, Zautashvili strives to expand contemporary aesthetics to say more than just empirical or sensual experience. One thing that unites all the artist's works is that they are not mere illustrations or quotes of the problem through art. His works always leave space for reconstruction and fantasy. For him, art, as well as life, is a space for the most unexpected questions that even if left unanswered, provide almost complete information about modernity.



მარიამ შერბელაშვილი

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

**ფიქრის
ტრანაქტორია**

შემოქმედაბითი

ფიქრის

დაუსაზღვრულობა





ჩაბი ანის საზღვრები ნიშნავს ჩაბი საბყაროს საზღვრებს

ლუდვიგ ვიტგენშტაინი
Tractatus Logico-Philosophicus, 1921


ტექსტი ადაპტირებულია ამავე სახელწოდების სემიოტიკის მე-13 სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებიდან

UNARCHIVED SEMIOTICS

ხელოვნებას ხშირად არალოგიკურის, ირაციონალურის და ინტუიციის სფეროსთან აკავშირებენ. ჩვენი მცდელობაა ხელოვნების ამგვარი ცალსახა გაგება გავაფართოვოთ და ის კონცეპტუალური პრიზმიდან განვიხილოთ. ის რაც ხელოვნებას უნიკალურად, ამროვნებისა და შეგრძნებების სინთეზად წარმოაჩენს, ხშირად მოუხელთებელთან გათამაშების გზით მიიღწევა. ამ განხილვაში ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს ვიტგენშტაინის დებულებები აზრის, სამყაროს, როგორც ფაქტის, და ფაქტის როგორც ხატის გააზრებაზე. ესაა სისტემა, სადაც ყოველთვის შეიძლება დარჩეს რაღაც მდუმარედ. ჩემი მოსაზრებით, ამგვარი გაგება დემილის, სიჩუმის ძენ-ბუდისტურ აღქმასთან იგივდება. ესაა არასქემატური, არამედ შინაგანი ბუნების ლოგიკა, რაც არაერთი სახელოვნებო მიმდინარეობის შთაგონებად იქცა, განსაკუთრებით კონცეპტუალური მიმართულებების განვითარებისას (ჯონ ქეიჯი, ჯგუფი ფლუქსუსი და სხვ.). მულტიმედიაური გამოფენის, „ფიქრის ტრაექტორიის“ საკურატორო კონცეფციაც გამოუთქმელს, ვიტგენშტაინისეულ ენობრივ დასაზღვრულობას, ეფემერულ გამომსახველობას ვიზუალურად იკვლევს, რომელსაც კონკრეტული არტისტული ნამუშევრების განხილვისას განვავრცობთ. „ფიქრის ტრაექტორია“, რომელიც პლატფორმის Unarchived Semiotic-ის ინიცირებით განხორციელდა ვიტგენშტაინის დასაზღვრულობის ლოგიკურ კონცეფციას აფართოვებს ფიქრის პროცესუალური, შემოქმედებითი განხილვით. ფაქტი, როგორც ხატი ამ შემთხვევაშიც დასრულებულ ნამუშევარში ვლინდება. ამასთანავე, გამოფენის სივრცული ლოგიკა და გეომეტრია სხვადასხვა დროით შრეზე დაწყებულ საავტორო ძიებებს წარადგენს. ალტერნატიული შემოქმედებითი ფორმებით გააზრებული რეალობა და ხელოვანის რეფლექსირება ამავე რეალობის კრიზისზე შემოქმედებითი დინამიკის - ცოცხალი პროცესის განმაპირობებელი ხდება.

ამ პროცესში ლეგიტიმურია დავსვათ საკითხი - რა არის ხელოვნების სემიოტიკა? რა ნიშნობრივი სისტემით ხელძღვანელობს ხელოვანი? რამდენად შეიძლება უკიდურესად ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი საზიარო გახდეს. ჩვენს რეალობაში არსებული სოციალური და ეგზისტენციალური თემატიკის ირგვლივ გამოფენის ვიზუალური ენა და დრამატურგია განიხილავს სივრცით-დროით კავშირებს. შემოქმედებითი ფიქრის განსხვავებული ვიზუალური ფორმირებით განვრცობილი გარემო და გარემოებები - დროში მოხელთებულ ანარეკლებში, ანაბეჭდებში, დატოვებულ ან უეცრად გაელვებულ გამოსახულებებში ვლინდება. სივრცული დიალოგის მეშვეობით გამოფენის კონცეფცია ხელოვნების ვიზუალურ ენას ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური ასპექტებით განავრცობს. ნიშნისა და აღსანიშნის, ინდივიდისა და გარემოს, დამკვირვებელისა და ავტორის ურთიერთმიმართებები საგამოფენო ფორმატით წარმოადგენს სხვადასხვა თაობისა და გამოცდილების მქონე ხელოვანების - თორნივე გოგანდის, ქეთი ვაჰანაძის, თეა ნილის, ნინო საკანდელიძის, ოთო შენგელიას და დავით ჩიხლაძის ნამუშევრებს. გამოფენაზე მონვეული ხელოვანების განსხვავებული შემოქმედებითი მიდგომები - ფოტო, სივრცული ობიექტი, ინსტალაცია, ციფრული და გრაფიკული ნახატი ექსპოზიციის მინიმალისტურ-კონცეპტუალური გააზრებით სივრცეში შემოქმედებითი ფიქრის დაუსაზღვრელ ტრაექტორიას აფორმირებს. „ფიქრის ტრაექტორიაზე“ წარმოდგენილი ხელოვანების ნამუშევრებისა და შემოქმედების მიმოხილვით ვცდებით დავასაბუთოთ ხელოვნების, შემოქმედებითი ამროვნების ის განზომილება, რომელიც მკაფიოდ სტრუქტურირებულია და მთლიანობაში აყალიბებს ცალკეულ კონცეპტუალურ ნიშას დაუსაზღვრელი ფიქრისაკენ.

ახალგაზრდა ხელოვანი თორნიკე გოგნაძე გეომეტრიის, აბსტრაქციის და სივრცესთან ურთიერთობის შედეგად გამოსახავს თავის ნამუშევრებს. გოგნაძე ხშირად რეფლექსირებს პირად ისტორიასა და გამოცდილებაზე. ხელოვანი წარსულისა და მოგონებების განახლებულ თავისეულ ვერსიას ქმნის პირადი ისტორიების საშუალებით. ისინი ხშირად ეფუძნება კვლევებს, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ვითარებას, რელიგიას და პოლიტიკურ გავლენებს. ხელოვანი, როგორც წესი, ხშირად არქიტექტურული ჩარევით ცვლის სივრცეს. ნამუშევარი „სივრცის სადგური“ პანდემიურ რეალობას უკავშირდება. სახლი, სივრცე, ოთახი, გამოკვეთილი და პანდემიის იძულებით იზოლაციაში მყოფი „საკუთარი მე“ თორნიკე გოგნაძის ნამუშევარში სივრცული ობიექტისა და შედეგილი ქსოვილის ესკიზების ფორმაში გარდაიქმნება. ძიების პროცესი აჩვენებს ხელოვანის კვლევას ქსოვილის ესკიზურ ნამუშევრებზე ინტიმური დაკვირვებიდან სივრცულ ობიექტამდე. ამ პროცესში ხელოვანი განიხილავს პირადი დაკვირვებების არეალს, სადაც აბრეშუმის ჰაეროვან ტექსტილზე გადმოტანილი, ბუნებრივი ენდროს საღებავით შედგენილი გეომეტრიული ნიშნები/მინიშნებები მინის გამჭვირვალე სტრუქტურაში ექცევა.



თორნიკე გოგნაძე



Exposition of Thoughts is a multimedia installation of contemporary visual art, with the artist's intention to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality.

What is the relationship between the visual and the verbal? The artist explores this question through a series of works that challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality.

What is the relationship of visual thought - the act of thought (drawing and speaking) and speaking from the edge of uncertainty itself.

Exposition of Thoughts is a multimedia installation of contemporary visual art, with the artist's intention to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality.


Exposition of Thoughts is a multimedia installation of contemporary visual art, with the artist's intention to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality.

Exposition of Thoughts is a multimedia installation of contemporary visual art, with the artist's intention to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality. The artist's intention is to explore the relationship between the visual and the verbal, and to challenge the viewer's perception of reality.



ნინო საკანდელიძე

სტრუქტურის, ფორმის, ხაზის ფრაგმენტაცია, ლაკონური, წყვეტილი დინამიკა და მესხიერებასთან, მოგონებასთან თამაში - ამ თემატიკას აერთიანებს ნინო საკანდელიძის ნახატების სერია „ნაოჭ-ნაოჭ შევისწავლი შენს მოგონებას წარსულზე და ხვალინდელ დღეზე“. ხელოვანი კრებით, არქექტიპულ მესხიერებას - მოგონების, გახსენების შესაძლებლობას და მათ შორის ინტიმური მიახლოების მანძილებს ექსპერიმენტულად იკვლევს. საკანდელიძე ადამიანის აზროვნების უნარს ტვინის გადარჩევის პრინციპს საკუთარი ვიზუალური სემანტიკით (ნიშანთა ენით) აგენერირებს. მასალასთან დამორჩილების ან დანებების გზა - გადაუჭიმავე ბიაზის ნაპრალებში წყვეტილად გამოკვეთილი კონტურები ძალაუფლების, შემთხვევითობის, გარდაუვალობის და არჩევანის კავშირებზე გვაფიქრებს. „ჩემი სტატიკური მოქმედება შენ დაგეგმილ მოძრაობას ჯობს“ - ამგვარი მინიშნებით ნინო საკანდელიძე საგამოფენო სივრცეში შემოქმედებითი ფიქრის მანიფესტაციას რკინის სკულპტურებთან ერთად წარმოადგენს. ეს ობიექტები ხელოვანის გრძელვადიანი პროექტია, სადაც პირადის და ისტორიულის შეპირისპირება რკინის ფარდის „ჭრას“ უკავშირდება. საკანდელიძის შემოქმედებისთვის ზოგადად სახასიათოა დეტალის მნიშვნელოვნება, ყოველდღიურობის სენსიტიური აღქმა, ინტუიციური მგრძობელობის ფილოსოფიურ-პოეტური გააზრება. ხელოვანი თანამედროვე ვიზუალური აღქმის კატეგორიებს ოპოზიციურ განგრძობით პრიზმაში გარდასახავს, სადაც ასახულია მისივე გარემომცველი რეალობა: ტკივილწარწევი, ირონიული, მოთამაშე. ნინო საკანდელიძე ესთეტიკისა და ანტიესთეტიკის თანაბარ-მნიშვნელოვანებით, ყოველდღიურობის ფრაგმენტებს გარდაქმნის. წარსულის დღევანდელი პოზიციიდან რეფლექსირება, კრიტიკულ-პოეტური გააზრება საკანდელიძის შემოქმედებაში ხშირად საქართველოს უახლეს წარსულთან, საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებასთან და ყოველდღიურობის პოეტურ ანალიტიკასთან არის დაკავშირებული.




გამოფენაზე ფიქრისა და აზროვნების სტრუქტურების მეტა-ფორული ექსპერიმენტი ქეთი ვაჰანაძის ფოტოსა და სიტყვა-ობიექტებში განივრცო. სიტყვები, როგორც ფორმულები, ერთ-ერთი ასოციაციური მინიშნებები აზროვნების შეუქცევადი პროცესის, საწყისისა და სასრულის ფიზიკური, მენტალური, გონებრივი, რაციონალური და ემოციური გარდასახვის ნიშნულებს წარმოადგენენ. ქეთი ვაჰანაძის ალუმინის ობიექტებსა და აბსტრაქტულ ფოტონამუშევარში ხელოვანის სწრაფვა წარმოსახვისა და არსებული მნიშვნელობების პირობითობასთან დუალისტურ (ორმაგ) გააზრებაში ვლინდება.


ქეთი ვაჰანაძე არის პირველი ქალი კონცეპტუალური ვიზუალური ხელოვანი ქართული თანამედროვე ხელოვნების უახლეს ისტორიაში. ის ამჟამად, ცხოვრობს და მუშაობს ბონში, გერმანიაში. ხელოვანის ადრეული შემოქმედება კონცეპტუალური, გრაფიკული სერიები და ფოტო ნამუშევრები იაზრებს სიტყვის თამაშობრივ სტრუქტურას, გარემოს დეტალიზაციას და გამოსახულებას, როგორც აღმნიშვნელს.




ქეთი ვაჰანაძე



თეა ნილი



გარემოს გამოსახულებრივი კვლევა „ფიქრის ტრანექტორიის“ ერთ-ერთი ნამყვანი თეზისია. გამოფენაზე ციფრული გამოსახულების, დაშლილი და მინიმალისტურად რეკონსტრუირებული ფორმების ანალიზით ხელოვანი თეა ნილი თავისი პრაქტიკისთვის ჩვეულ მიგნებას ავითარებს. ნილის მიერ წარმოდგენილ სერიაში გამოსახულების დაშლის გზით მიღებული ფორმების სიზუსტე, როგორც ნამუშევრის დასათაურებაში გამოავლინა ავტორმა „არსებობის ანატომია“. ამგვარი ფორმით ნილი საკუთარ დაშიფრულ კოდირებულ რეალობას აგებს და ამ ფორმით რეაგირებს გარემომცველ ფიზიკურ რეალობაზე. ტექნიკურად ნამუშევარი რეალისტური ფოტო გამოსახულების დესტრუქციით, პიქსელიზაციით მიღებული აბსტრაქტული გამოსახულება, რომელიც ვირტუალობის, რეალობის და ავტორისეული აღქმის ურთიერთკავშირს ე.წ. ფოტოგრაფიული არქეოლოგიის გზით ავითარებს. თეა ნილის პრაქტიკა ფოტოს და ციფრულ მედიებს აერთიანებს. ხელოვანი წლების მანძილზე მუშაობდა გერმანიაში, ამჯერად ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.





```
cgminer version 2.11.3 - Started: [2013-06-14 22:54:12]
<Ss>:2.295M (avg):2.291Mh/s : O:3606 A:35086 R:497 HW:0 E:973x U:32.8/m
ST: 2 SS: 0 DW: 7300 NB: 3562 LW: 32895 CP: 0 RF: 0 WU: 2098.3
Connected to pool.worldcoinpool.com diff 63 with stratum as user Loko41.1
Block: 70a26b2822d80865... Diff:100K Strtd: [16:42:33] Best share: 1.08M


[P]ool management [G]PU management [S]ettings [D]isplay options [O]utput
CPU 0: 55.0C 3236RPM : 265.2K/765.5Kh/s : A:11690 R:168 HW:0 U:10.94/m I:13
CPU 1: 56.0C 3012RPM : 265.8K/765.5Kh/s : A:11660 R:141 HW:0 U:10.91/m I:13
CPU 2: 57.0C 3083RPM : 261.2K/760.8Kh/s : A:11737 R:188 HW:0 U:10.99/m I:13

[2013-06-15 16:42:23] Stratum from pool @ detected new block
[2013-06-15 16:42:26] Accepted 9d8f4272 Diff: 89/63 CPU 1
[2013-06-15 16:42:27] Accepted 6f2e239d Diff: 256/63 CPU 2
[2013-06-15 16:42:27] Accepted 2b593ece Diff: 98/63 CPU 1
[2013-06-15 16:42:33] Accepted 286c7e67 Diff: 122/63 CPU 2
[2013-06-15 16:42:33] Stratum from pool @ detected new block
About artist:

Irina Gabiani was born in 1971, in Tbilisi, Georgia. She got her artistic education both in Georgia and abroad: 1986-1990 – Iakob Nikoladze Art College, Tbilisi, Georgia; 1990-1994 – Tbilisi State Academy of Art, Georgia; 1994-1997 – Gerrit Rietveld Art Academy, Amsterdam, Netherlands (MA). Irina works in multimedia art. She left Georgia in 1994 and she currently lives and works in Luxemburg. She participates in different exhibitions in Georgia and abroad. She takes part in festivals and biennales, including Venice 54th Biennale.



DO you LOVE ME?

YES, I LOVE you

მანუჩარ ტყე მსცვარძე



მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნამუშევრების უმეტესობა იდეაზე და კონცეფციაზეა ორიენტირებული, მათში ყოველთვის რჩება შრე, რომლის ვერბალურად „თარგმნა“ შეუძლებელია. ამიტომ არტიკული სთეიტმენტის მკაფიოდ ვერბალურად ჩამოყალიბებას ცოტა სკეპტიკურადაც ვუყურებ, რადგან სთეიტმენტი გარკვეულ ჩარჩოს გულისხმობს და ლიმიტს უწესებს არტისტს. მირჩევნია ვიფიქრო, რომ ყოველი ახალი ნამუშევარი გარკვეულწილად ახალი სთეიტმენტი. როგორც აღვნიშნე ჩემს ნამუშევრებში პირველადი ყოველთვის იდეაა. სამუშაოს დაწყებამდე უკვე ვიცი რა მიინდა და რის გაკეთებას ვაპირებ და ამის შემდეგ საუკეთესო ფორმას ვძებ. ამავე დროს ვცდილობ მინიმალისტური ესთეტიკის მიუხედავად ნამუშევარი შინაარსობრივად მრავალმრიანი და კომპლექსური გამოვიდეს, რომლის აღქმაც სხვადასხვა რაკურსიდან და სხვადასხვა კონტექსტში იქნება შესაძლებელი. არსებობს გზავნილები, რომელთა გადმოცემა მხოლოდ, ან უკეთესად, ვიზუალური ნიშნებით არის შესაძლებელი. სწორედ ასეთი გზავნილები მიმართა ჩემი ხელოვნების შემადგენლად.

ა რ ტ ი ს ტ ი ს გ ა ნ ა ც ხ ა რ ი



თანამედროვე მულტიმედია ვიზუალური არტისტი, დაბადებული 1974 წელს. თბილისი, საქართველო.

1998 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი.

კარიერის ადრეულ წლებში ფერწერის პარალელურად მუშაობდა და შეისწავლიდა ბეჭდვითი გრაფიკის, ქანდაკების, ტრადიციული ხატუნის და ტიხრული მინანქრის ტექნიკებს და ისტორიას.

2008 წელს იყო სახელოვნებო ჟურნალ „შთაბეჭდილება /Impressions“ თანადამფუძნებელი და იდეის ავტორი, რომელიც გამოიცემოდა 2008-2009 წწ.



1996 წლიდან მონაწილეობს ლოკალურ და საერთაშორისო გამოფენებში. არის რამდენიმე საჯარო სკულპტურის ავტორი.

დღევანდელ დღეს მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: ინსტალაცია, ქანდაკება, ნახატი, ფერწერა და შერეული მედიუმები. ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში.

ხ ე რ მ ვ ა ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ



MANUCHAR OKROSTSVARIDZE



Although most of my works are oriented towards ideas and concepts, there exists a layer within them that cannot be "translated" into words. Hence, I regard the explicit verbal formulation of an artistic statement with a measure of skepticism, for such a statement implies a certain framework and imposes limitations on the artist. I am inclined to believe that each new piece represents a new statement in its own right. As I have indicated in my works, the primary focus is always on an idea. Before commencing work, I am already aware of what I desire and what I intend to do; following this, I search for the most suitable form. Despite adhering to minimalist aesthetics, I strive to imbue my work with multiple layers and complexity in content, allowing it to be interpreted from various perspectives and within different contexts. There are messages that can only be, or are better, communicated through visual cues. I consider such messages to be an integral part of my art.

Born 1974. Multimedia artist. Lives and works in Tbilisi, Georgia.

Education: Graduated from Tbilisi State Academy of Arts in 1998 (MFA)

Field of activity includes painting, drawing, sculpture and installation. From the beginning of 2000th his art has been influenced by conceptualism and post-minimalism. His works vary from minimalist drawings to site-specific installations and public sculptures.

In 2008, he co-founded and conceived the idea for the art magazine "Impressions," which was published during 2008-2009. Since 1996, he has participated in both local and international exhibitions and is the creator of several public sculptures.

Currently, his primary areas of focus include installation, sculpture, drawing, painting, and mixed media. He resides and works in Georgia.



ტექსტი - დათო კლორუშინაძე
 ფოტო - გიორგი ნაკაშიძე
 ივა ხარგელია
 გალერეა 4710



სიუჟეტი ბუბუნია

მიმდინარე სიტუაცია უცნაური და უხილავი პროცესების წინაშე გვაყენებს. მოვლენები დრამატულ ფორმას იღებენ. ამ ცვლილებაში, არტისტის როლი კრიტიკული ხდება. პირველ რიგში, ეს როლი საგნების არსებული წესრიგის გადაფასებას ეხება. ხელოვნებას უძველესი დროიდან შეეძლო საგნებისთვის კონტრასტული მნიშვნელობის მინიჭება. მაგალითად, ტრაგედიის ქცევა სილამაზედ, ან - პირიქით. შექმნილ ვითარებაში, საგნებთან ყოველდღიური, პრაქტიკული შეხება გაიზარდა. შედეგად, მათი ესთეტიკური ღირებულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ნამუშევრებში, თემა გაბუნია, ყურადღებას ყოველდღიურ სამომხმარებლო ნივთებზე ამახვილებს. ისინი, სამუზეუმო ექსპონატებს ემსგავსებიან. ამით ხაზი ორ გარემოებას ესმება: ერთი, რომ ისინი ხელოვნების ნიმუშის თვისებებს იძენენ და მეორე, საგნები ფუნქციის რეპრეზენტაციით საკუთარ იდენტობას ავლენენ. ამ პროცესს წინ უძღვის საგნის და ფუნქციის განცალკევება, როგორც შეუძლებელი მოქმედების, მოხმარების და გამოყენების აქტი. უნდა მივიღოთ თუ არა საგნების ეს წესრიგი? თუ, უნდა შევვინააღმდეგოთ მათ იდენტობას?

ორივე შემთხვევაში, კრიტიკული დაძაბულობა იქმნება, რომელიც თავად არის არსებული ცვლილებების შედეგი.

Text: Dato Koroshinadze
Photo: Giorgi Nakashidze
Ika Khargelia
Gallery: 4710

TEZI GABUNIA



The current situation puts us in front of the strange and invisible processes. The events are taking a dramatic turn. In this series of changes, the role of the artist becomes critical. Primarily, this role concerns the reassessment of the existing order of things. Art has been able to give a contrasting meaning to objects since ancient times - like turning the tragedy into the beauty and vice versa. Under current circumstances, daily, practical contact with objects has increased. As a result, their aesthetic value has been called under the question. In his works, Tezi Gabunia focuses on everyday objects. They become like museum artifacts. This underlines two circumstances: one is that they acquire the properties of a work of art, and the other is that objects reveal their own identity through the representation of a function. This process is preceded by the separation of a subject and its function as an act of impossible consumption and use. Should we accept this order of things? Or should we oppose their identity? In both cases, critical tension is created, which itself is the result of the existing changes.



Ձ Ո Պ Ո Յ Մ Ն Շ Ը Ն Յ Ն Շ Ի Ո

ATM-ՈՆ ԹՄՆՅՐՆԹՐԾ

ՆՈՇՈՒՌԵԿ ԹՆԸՇԻՇՆ





დედამინა მზის გარშემო უსასრულოდ ბრუნავს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების რეინკარნაციის მღელვარე პროცესი მიმდინარეობს. რიტუალები და ადათ-წესები, რომლებიც აერთიანებენ მოსახლეობას, ვითარდებიან და გრძელდებიან. კოლექტიური მესხიერება გარშემომყოფ მცენარეებსა და ცხოველთა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება და განუყოფლადაა დაკავშირებული იმ ადგილებთან საიდანაც ის სანყის იღებს. იდენტობის შენარჩუნება მესხიერებასა და განვითარებას შორის ფაქიზ ბალანსზეა დამოკიდებული. ცვლილების ტემპი

და ხასიათი განსაზღვრავს რას დააკარგვინებს ან შესძენს ეს პროცესი საზოგადოებას, რომელსაც ეს ცვლილებები ეხება. არტისტი თუშეთის წეს-ჩვეულებების გავლენით შექმნილი ვიზუალური ენის საშუალებით გადმოსცემს ცხოვრების ციკლისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს. თუშური ცხოვრების წესის, ფოლკლორის, რიტუალებისა და რიტუალისტური საგნების რეინტერპრეტაციით, არტისტი გვთავაზობს მომავლის ხედვას. ნამუშევრები ხსოვნის, ბალანსის, თავისუფლების, უწყვეტობისა და სიკვდილის თემებს ეხმიანებიან.

ტექსტი: სალომე პაპაშვილი




ბელოვანის ბიოგრაფია

მიხეილ სულაკაური (თბილისი, 1996)

მიხეილ (მიშიკო) სულაკაურის სახელოვნებო პრაქტიკა ეხმიანება სოციალურ ტრანსფორმაციას, რაც ისტორიული ძეგლებში, საზიარო სივრცეებში, სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარე ცვლილებებში იკითხება. დანახვის აქტი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი შემოქმედება საზრდოებს ქალაქის მასშტაბით, დანახული ნივთების შეუსაბამო, უცნაური, განლაგებებით და დამატებებით შექმნილი აბსურდული, ქალტური ხედვებით. შემოქმედებითი ფიქრის საწყისად იქცევა დაკვირვებისას შემჩნეული ერთდროულობების და ურთიერთდაპირისპირებების მოშენებები. ნამუშევრებში იკითხება მისთვის დამახასიათებელი სემიოზისი, რომელშიც წინაქრისტიანული, თანამედროვე ტექნოლოგიური და სამშენებლო ნიშნები და საერთაშორისო კორპორაციების ლოგოები ერთიანდება. სიმბოლოებისა და ვიზუალური მინიშვნების ერთიანობა ქმნის გაურკვევლობის, შფოთვის, სანქცირებული და არასანქცირებული ცვლილებების, აბსურდის, იდბლის, გამძლეობისა და გადარჩენის ნარატივებს. სულაკაურის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარსულისა და აწმყოს, ტრადიციისა და ინოვაციის, ინდივიდუალური და კოლექტიური მესხიერების ურთიერთკავშირებს. მასალას ნამუშევარი შინაარსობრივად ჰკარნახობს, რის შედეგადაც ის ხშირად ატარებს ექსპერიმენტებს და მის ნამუშევრებში მასალის მრავალფეროვნება შეინიშნება.

სულაკაურის შემოქმედებითი საწყისები თბილისის ქუჩებს ათ წელზე მეტია ამშვენებს, როგორც "LAMB"-ის გრაფიტი ნარწერები. ის გრაფიტი კოლექტივი „ცრუ“-ს თანადამფუძნებელია, რომელიც 2017 წელს ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავს თბილისის გრაფიტი სცენაზე ქართული ტიპოგრაფიის გააქტიურებას.





NO ATMs YET

Ch64 GALLERY

Mishiko Sulakauri

As the Earth spins endlessly around the sun, pockets of traditions and customs venture through a turbulent process of reincarnation. Rites and rituals evolve and persist into the modern day, holding together the communities in which they originated. Collective memory is inextricably tied to localities, informed, and shaped by the endemic vegetation and wildlife. Preservation of identity depends on the delicate balance between remembrance and evolution. The speed and manner of change determine the losses and gains this process can bring to the communities it affects. The visual language informed by the customs of Tusheti is a conduit for exploring change and adaptation integral to the life cycle. Reinterpreting elements from the Tushetian way of life, folklore, rites, and ritualistic objects, the artist presents a vision of the future and pays tribute to the customs that ground the community in its identity. The works address the themes of remembrance, balance, liberation, continuity, and death.

Text by Salome Papashvili



Artist's Biography

Mishiko Sulakauri (b. 1996, Tbilisi)

Mikheil (Mishiko) Sulakauri's practice considers societal transformation through observed changes in heritage sites, shared spaces, and rural and urban environments. The act of seeing is integral to his process. Absurdist, chaotic sights stemming from uncanny placements and additions to spaces and contexts around him fuel his work. Sulakauri captures instances of simultaneity and juxtaposition in his surroundings and riffs on these momentary aberrations. He creates a personal semiotic language combining pre-Christian markings, contemporary technological and construction signs, and multinational corporation logos. These symbols and references weave together narratives of uncertainty, anxiety, sanctioned and unsanctioned change, absurdity, luck, resilience, and survival. Sulakauri's practice highlights the interplay between past and present, tradition and innovation, and individual and collective memory. His use of materials is guided by his process, which often leads him to experimentation.

Sulakauri started out as a graffiti artist in his adolescence, developing a signature style under the moniker "LAMB", which has graced Tbilisi streets for over a decade. He is a co-founder of a graffiti collective "ცრუ" (false), established in 2017.





თანამუნა ზანაძე



ხელოვანის განაცხადი

თამუსა ზარქუას მხატვრული პრაქტიკა ვლინდება საგნებისა და ინსტალაციების შექმნისას, რომელიც მომდინარეობს კვლევისა და სხვადასხვა მასალის ღრმა შესწავლის შედეგად. ხელოვანის ნამუშევარი განპირობებულია ნარატივების აგების სურვილით, რომლებიც სწავლობენ კულტურულ გარემოს, ოჯახურ გავლენებსა და იდენტობის შექმნის პროცესს შორის არსებულ რთულ ურთიერთკავშირს.

ზარქუას ყურადღება ეთმობა საკუთარი თავის აღმოჩენის ფსიქოლოგიურ ასპექტებს სხვადასხვა კულტურული ფონისა და პირადი გამოცდილების გამოუცნობი ტერიტორიების კონტექსტში. მისი ნამუშევრები დაპირისპირებული ძალების კვითაზა, სადაც მიჯაჭვულობისა და განცალკევების დინამიკა, ერთგულება და ლალატი აყალიბებს ფლუიდურ იდენტობას.

რამდენად აქვს ინდივიდს აზროვნების შეუზღუდავი თავისუფლება და რამდენად აქვს





წარსული წინაპირობა საიდანაც იდენტობა ყალიბდება? ეს ის კითხვებია, რასაც მისი ნამუშევრები შეეხება.

ხელოვანი ეჭვქვეშ აყენებს იდენტობის, როგორც სტატიკური კონსტრუქციის ცნებას, სამაგიეროდ განიხილავს მას, როგორც კონტინუუმს, ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესს, რომელიც ყალიბდება გარე და შინაგანი ძალებით.

მისი ნამუშევარი ცდილობს ამოხსნას კულტურული და გარემოს გავლენების რთული ქსელი, რომელიც ხელს უწყობს იდენტობის ფორმირებას, აქცენტს აკეთებს ადგილობრივ მაგალითებზე ამ თემების გამოსააშკარავებლად.



თამუნა ზარქუა (დ. 1997, თბილისი, საქართველო) არის მულტიმედია ხელოვანი, რომელიც ცხოვრობს თბილისში. 2021 წელს მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების სკოლაში (VAADS). 2018 წლიდან თმუნა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ჯგუფურ შოუში, მათ შორის „OXYGEN თბილისი“ და „და კავშირი“, რომელიც თანაკურსელებთან ერთად დააარგა მიტოვებული სკოლის შენობაში. 2019 წელს მან გამართა თავისი პირველი სოლო შოუ სახელწოდებით „1.9999“, რასაც მოჰყვა თვითორგანიზებული ადგილ-სპეციფიკური ინსტალაცია სახელწოდებით „Saddle is My Only Land“ 2021 წელს; 2023 წელს გაიმართა ხელოვანის სოლო შოუ „Past to Betray“ გალერეა Ch 64-ში. მან მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო რეზიდენციებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2022 წელს ზალცბურგის საერთაშორისო აკადემიის კლასი როსელა ბისკოტისთან, სადაც მას მიენიჭა სტიპენდია, რომელსაც მოჰყვა Weltkunstzimmer და გობის მუზეუმის რეზიდენცია დიუსელდორფში, გერმანია. ხელოვანის ნამუშევრებს ვხვდებით სხვადასხვა ონლაინ და ბეჭდურ პუბლიკაციებში.

ხელოვანის შესახებ

TAMUSA ZARKUA



* S C R E E N S H O T

from the video
"I Combust in Familiar Numbers"

Artists Statement

Tamusa Zarkua's artistic practice revolves around the creation of objects and installations that stem from research and a deep exploration of various materials. Her work is driven by a desire to construct narratives that delve into the intricate interplay between cultural, environmental, familial influences and the process of creating identity.

Zarkua's focus lies in examining the psychological aspects of self-discovery within the context of diverse cultural backgrounds and the uncharted territories of personal experience. Her works stand at the intersection of opposing forces, where the dynamics of attachment and detachment, devotion and betrayal, shape the fluidity of identity.

To what extent does an individual have an uninhibited freedom of thought and to what extent does one have a past, an ancestor, or a background from which identity is formed? These are the questions that her works raise.

She challenges the notion of identity as a static construct, instead viewing it as a continuum, an ongoing process of transformation shaped by external and internal forces.


Her work seeks to unravel the complex web of cultural and environmental influences that contribute to the shaping of identity, focusing on local examples to illuminate these themes.

About artist

Tamusa Zarkua (b.1997, Tbilisi, Georgia) is an emerging multimedia artist based in Tbilisi, Georgia. In 2021, she received her BA degree from the Visual Arts school at Free University of Tbilisi (VAADs). She has been actively involved in various group shows since 2018, including "Oxygen Tbilisi" and "And Connection," which she co-organized with fellow artists in an abandoned school gymnasium. In 2019, she held her first solo show titled "1.9999," followed by a self-organized site-specific installation called "Saddle is My Only Land" in 2021, and with a significant solo show "Past to Betray" at the gallery Ch64 in 2023. She has participated in both local and international residencies, with a notable highlight being the 2022 international Salzburg academy class of Rossella Biscotti, where she was awarded a scholarship, followed by Weltkunstzimmer and Museum Goch residency in Dusseldorf, Germany, within which she was part of the show "The Me That's There Now" with her first video installation "I Combust in Familiar Numbers". Her works have been featured in different online and printed publications.



**ბიზნის
სტრატეგია**






გიო სუმბაძე (დაბ. 1976, თბილისი) მულტიმედია არტისტია. ის მუშაობს ფოტოგრაფიაში, აქვს ვიდეო ნამუშევრები, ინსტალაციები, ასევე აკეთებს გრაფიკულ დიზაინს. მისი ნამუშევრები ფოკუსირებულია არქიტექტურაზე და ზოგადად ბუნების სტრუქტურებზე, გეგმარებაზე, რომელიც ბუნების ფორმებს ზოგჯერ იმეორებს, ზოგჯერ უპირისპირდება. როგორც თვითონ ამბობს, მისი ნამუშევრები „არქიტექტურის, დროის და სივრცის ტიპოლოგიური დოკუმენტაციაა.“ ვინც/რაც სუმბაძის ობიექტივში ხვდება არტისტი იქიდან იღებს უკუკავშირს, ეს არის მისთვის მთავარი ინსპირაცია.

გიო სუმბაძე 1990-იანი წლებიდან მონაწილეობს არტ პროექტებში, თანამშრომლობს ქართველ და უცხოელ კურატორებთან და არტისტებთან.







Gio Sumbadze

Gio Sumbadze (b. in 1976, Tbilisi) is a multimedia artist. He works in photography and has video works/installations. In addition, he makes graphic design. His artworks focus on architecture and structure of the nature as well as on the architectural planning which sometimes repeats shades of the nature and even confronts them. As he says his "artworks are typological documentations of space and time". The artist takes feedback from who/what gets into his lens. This is the main source of inspiration for him.

Gio Sumbadze has been participating in the art projects in Georgia and out of the country since 1990s. He cooperates with Georgian and foreign curators and artists. In 2013 Gio Sumbadze represented Georgia at the 55th Venice Art Biennale. Architectural project "Kamikadze Loggia" was inspired by informal architecture in Tbilisi.

Gio Sumbadze is a member of an artistic group GOSLAB in Tbilisi, Georgia.



მანიახ ნაჲრლოჲვილი & ღვთოჲ ჲინჲვანაჲ



სოჲყვანა ჲანაჲი



ქალაქი ჩემთვის წიგნია –
სქელტანიანი,
ეპოქალური და მოსაწყენი.

ჯოა ხანჭყალი

მე და დეთუმ ერთად მუშაობა სიტყვების წერით დავინწყეთ. პირველი, რაც ერთად გავაკეთეთ იყო ვარლო ვაჭარავას ლექსი – “ჩვენში”, დოდო აბაშიძის ქუჩაზე, ელექტრო ტრანსფორმატორის კედელზე. მინდოდა, ქალაქი წიგნად ქცეულიყო, თბილისის კედლებზე თანამედროვე პოეზია დაბეჭდილიყო. მაშინ 2011 წელი იყო. ქალაქის კედლები ცარიელი იყო. არც ამ-

დენი გრაფიტი და არც მურალები, მხოლოდ საკუთარი სახელები, ნინოს+გიორგი ან უნმანური სიტყვები ეწერა ხოლმე შიგადაშიგ. ქალაქი-წიგნი არ გავაგრძელებთ. არც კი ვიცი რატომ, მაგრამ მგონია რომ ამ იდეას აუცილებლად დავუბრუნდები და თბილისს ან რომელიმე სხვა ქალაქს თანამედროვე პოეზიის კრებულად ვაქცევ.

2011 წელს ნუცუბიძის მე-5 პლატოზე, ქალაქის ნაპირზე გადავედით. ჩვენი აივნიდან მთელი თბილისი ჩანდა და პირველად ვხედავდი თბილისს ყოველ დილით ასე შორიდან და ზემოდან, ქალაქ-ლაბირინთს.

მაშინ ბევრი დრო გვქონდა. თბილისის გარეუბნებს მანქანით წრეებს ვურტყამდით და ვათვალიერებდით, ფოტოებს ვუღებდით და ვაგროვებდით ჩვენთვის საინტერესო ადგილებს. ეს ადგილები მიტოვებული ან დაუმთავრებელი შენობები, დაშლილი ქარხნები, საბჭოთა კავშირის ნარჩენები იყო. ეს ადგილები ჩემში ყოველთვის აღძრავდა უცნაურ განცდას, შემანუხებელს, სევდიანს, შიშის მომგვრელს. განცდას, როდესაც გული ცუდს გიგრძნობს, მაგრამ უკვე წარსულში, რადგან თუ რამე უნდა მომხდარიყო, უკვე მოხდა. აწმყოში კი აი, იმ ცუდი წინათგრძნობის კვალს ხედავ, დასრულებულ ამბავს.

ჰოდა, მაშინ, ასე ვფიქრობდით, რომ ეს ადგილები ამბებია, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ამბები. და რომ ამ ადგილებს, ამ ამბებს სათაურები სჭირდება. ამ ადგილებს სჭირდებათ სახელები. ასე დავინწყეთ წერა. ასე დავინწყეთ კედლებზე წერა, ანუ, “writing off the page”.

წარსულის, აწმყოს და მომავლის, ერთი სიტყვით კი დროის აღწერისთვის დღემდე შენობებს ვიკვლევთ. ვიკვლევთ შენობებს და ამ შენობებში, ამ შენობების გარშემო თუ მის კედლებში განვითარებულ მოვლენებს, გამქრალ ამბებს, დავინწყებული ადამიანების ისტორიებს. ეს შენობები ზოგჯერ ქარხნები და ზოგჯერ კაზინოებია, ზოგჯერ თავშესაფრები და ზოგჯერ ე.წ. ხრუშოვკები, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენს პრაქტიკაში ქალაქი და შენობები მხოლოდ ადგილის გარემოება კი არაა, ქვემდებარეა.

მაშინ, 10 წლის წინ, წინადადებებს და სიტყვებს, რასაც კედლებზე ვწერდით, ინტერნეტში ვაგროვებდი. შავ ბლოკნოტში ჩამოწერილი მქონდა ასამდე წინადადება, რომელიც ერთად რომ წაგვკითხა, ლექსადაც კი უღერდა. ეს სიტყვები და წინადადებები იყო სოც. ქსელების, სხვადასხვა პროგრამების თუ სხვადასხვა საიტების ბრძანებები, ღილაკები, შესწენებები და ა.შ. და ასე, ამ ნაპოვნი და მოგროვებული ციფრული სიტყვებით, სიტყვებით და ბრძანებებით, რომლებიც რეალობაში გადმოტანისას ამრს სრულად იცვლიდნენ, ვასათურებდით სხვადასხვა ადგილს. ეს ტექსტები ინგლისურად იყო, რადგან ყველა ამ პროგრამას თუ საიტს ინგლისურად ვიყენებდით. მაგალითად: im feeling lucky - google-ის საძიებო სისტემის ღილაკია, search - ძიებაა, რაღაცის ძებნა (ალბათ, ისედაც მოგეხსენებათ), try again later - ბევრი საიტის თუ პროგრამის პასუხია, როდესაც ეხლა რაღაც შეუძლებელია და მოგვიანებით უნდა სცადო.

2015 წელს ქართულად დავინწყეთ წერა. პირველი სიტყვა იყო ხვალ. თუმცა, მანამდე, სულ პირველი ქართული წინადადება, ბათუმში დავწერეთ - დღეს ან ხვალ. ეს “დღეს ან ხვალ” სულ მავინყდება ხოლმე და სულ ვამბობ, რომ პირველი სიტყვა იყო ხვალ. “ხვალ” დღესაც არის მაზნაშვილის 7 ნომერში. თუმცა, “დრო”, რომელიც ალბათ ჩემი ამრით, ამ სერიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა, მხოლოდ 3 თვე ეკიდა რესპუბლიკის მოედანზე, დაშვარ ეკრანზე. ის “დროც” ხელით გავაკეთეთ, დღეს დაკეცილი დევს სადღაც სარდაფში. ქართული სიტყვების სერიას დავარქვით “საშინაო დავალება”. ამ სიტყვებს ჯერ ტილოზე ვაკეთებდით, შემდეგ კი უკვე კედლებზე გადაგვქონდა. ამ სიტყვებს კიდევ ერთი განზომილება აქვს, რადგან სიტყვა ვერცხლია, ეს ჩვე-

ნი სიტყვები ვერცხლის სამკაულადაც ვაქციეთ.

სიტყვების სერია “საშინაო დავალება” სიტყვებით თამაშია.

პროექტში “საშინაო დავალება” თითოეულ სიტყვას საკუთარი კონცეფცია აქვს.

“საშინაო დავალების” ყოველი სიტყვის მნიშვნელობას ქმნის მაყურებელი და ადგილი, სადაც სიტყვა ხვდება. თითოეული სიტყვის მნიშვნელობა სუბიექტურია და დამოკიდებულია მნახველის ცნობიერებაში არსებულ ასოციაციებზე, რომლებსაც იწვევს სიტყვა. “საშინაო დავალება” სიტყვებით, ნიშნებით, ამრებით და ასოციაციებით თამაშია. დაკარგული სიტყვების, დავინწყებული მნიშვნელობების გახსენება.

ეს ადრე დანერგილი მოკლე ტექსტია, პროექტ “საშინაო დავალების” აღწერა.

ამ სერიაში უმეტესად ის სიტყვებია დანერგილი, რომელთა გამოხატვა უსიტყვოდ შეუძლებელია. ანუ სიტყვებს, რომლებსაც ვერ დახატავ, უნდა დანერო. ასეთებია “სიჩუმე”, “დრო”, “ნეტავ”, “მუდამ” და ა.შ. სერიისთვის შრიფტი სპეციალურად არის შექმნილი, დეთუმ ეს ასოები ხელით დახატა. ყველა სიტყვა რომელიც ტილოზეა, ხელითაა დახატული. დეთუ არქიტექტორია და ამიტომ, რასაც ვაკეთებთ, ყველაფერს ხაზავს. ალბათ ამიტომაც, ეს სიტყვები, მაშინაც კი, როცა ტილოზე არის და არა ქალაქში, უქალაქოდ, ქალაქის გარეშე, მაინც მოსახვევებს, ჩიხებს, მოედნებს, ზოგჯერ შენობებს მახსენებს. სიტყვა - ქალაქები. ასე ჩნდება დაუსრულებელი კავშირი, როგორც მატარებლის კუპეში, სარკეში არეკლილი მეორე სარკე და იქ არეკლილი პირველი და შემდეგ ისევ მეორე და ასე უსასრულოდ - ქალაქში სიტყვა და სიტყვა ქალაქში, სულ, უსასრულოდ.



The word and the city



Mariam Natroshvili & Detu Jincharadze

The city is like a book for me – Thick-skinned, epochal, and lackluster.

Shota Chantladze

Detu and I embarked on our collaborative journey through the medium of words. Our inaugural project was the inscription of Karlo Katcharava's poem "Within Us" on the wall of an electric transformer along Dodo Abashidze Street. My aspiration was for the city to transform into a living book, with modern poetry imprinted on the walls of Tbilisi. It was 2011, and the city's walls stood largely bare, adorned sporadically with simple graffiti, murals, personal names like Nino+Giorgi, or occasionally, obscene phrases. Our vision of the city-as-a-book did not proceed further. The reasons still remain unclear to me, but I hold a firm conviction that I will revisit this concept, aiming to metamorphose Tbilisi or perhaps another city into a vibrant anthology of a poetry.

In 2011, we relocated to the 5th micro-district of Nutsubidze, situated on the city's outskirts. From our balcony, Tbilisi unfolded in its entirety, offering a panoramic view. For the first time, I observed the city from such a distance and elevation each morning, perceiving Tbilisi as a sprawling labyrinth.

Back then, we had an abundance of time at our disposal. We ventured into the outskirts of Tbilisi, exploring and photographing, gathering locations that intrigued us. These were places left abandoned or unfinished, decrepit factories, echoes of the Soviet Union. Each site stirred within me an unsettling mix of emotions – disturbance, sorrow, fear. It was the kind of feeling that weighs heavily on your heart, yet it belongs to the past, for if anything dreadful was destined to occur, it had already transpired. In the present, what remains are the leftovers of that ominous foreboding, a narrative concluded.


We came to view these places as news – news of our country and of ourselves. We realized that these sites and their stories required headlines, they needed to be named. This realization marked the beginning of our writing journey, a venture beyond conventional means, leading us to inscribe our thoughts directly onto the walls, effectively "writing off the page."

Our research delves into buildings to encapsulate time – past, present, and future.

We explore buildings and the events that unfolded in, around, or within their walls, uncovering lost stories and the tales of forgotten individuals. These structures vary widely, encompassing factories, casinos, shelters, and the so-called Khrushchevkas. In our practice, the city and its buildings are not merely location settings but they are the subjects.

A decade ago, I gathered sentences and words we had inscribed on walls and compiled them on the Internet. In a black notebook, I noted down approximately a hundred sentences which, when read in sequence, resembled a poem. These words and sentences bore a social nature, encompassing commands, buttons, reminders from networks, various programs, or web-sites. Armed with these digitally sourced and collected words – commands that shifted in meaning when brought into the tangible world – we ventured to different locations. These texts were in English, mirroring the language we used for interacting with these programs and sites. For instance, "I'm feeling lucky" is a button on the Google search engine, "search" implies looking for something, and "try again later" is a common response from sites or programs when an action cannot be completed immediately, suggesting a later attempt.

In 2015, we shifted our focus to writing in Georgian, initiating this transition with the word "tomorrow." Nonetheless, it was in Batumi where we inscribed our first Georgian sentence - "today or tomorrow." I frequently forget this detail, mistakenly recalling "tomorrow" as our inaugural word. The word "tomorrow" ("ხვდღე") remains visible at number 7 on Mazniashvili Street. However, "time" ("დრო"), arguably the most pivotal word in our





SEARCH FOR PEOPLE PLACES AND THINGS


series, adorned the Republic Square on a burnt screen for merely three months. We crafted "time" by hand, and today, it lies folded somewhere in a basement. We dubbed this series of Georgian words "home-work." Initially, we painted these words on canvas before transferring them on to walls.

These words acquire an additional dimension; considering the saying "the word is silver," we transformed these selected silver jewelry, imbuing them with tangible value and a new form of expression.

The "Homework" series is a play on words.

Each term is imbued with its own unique concept. The significance of each word within the "Homework" project is co-created by the observer and the context in which the word is encountered. Its meaning is inherently subjective, shaped by the personal associations and interpretations brought forth by the viewer. "Homework" is an intricate dance with words, symbols, thoughts, and connections, a process of recollecting forgotten words and meanings lost to time.

This brief narrative serves as an earlier penned description of the "Homework" project. The essence of most words in this series defies visual depiction; they demand articulation through written language. These are words like "Silence," "Time," "If only," "Always," and so forth. A unique font was crafted specifically for this series, with Detu meticulously drawing each letter by hand. All words on the canvas are rendered manually, reflecting Detu's architectural precision in everything we undertake. This meticulous approach might explain why these words, even when presented on canvas outside the urban context, evoke imagery of cityscapes – curves, alleyways, squares, sometimes even buildings. The words become cities themselves. Thus, a perpetual cycle unfolds, reminiscent of the infinite reflections between two mirrors in a train compartment, where the image of one mirror is captured in the other, creating an endless series of reflections – a word in the city, and the city in a word, ad infinitum.

A vertical photograph of a concrete wall. A bright blue vertical stripe runs down the center. To the right of the stripe, a dark shadow is cast across the wall. The concrete surface shows signs of wear, including small white spots and a vertical crack on the left side. The text 'მანი ყანაბეზაშვილი' is overlaid on the left side of the image.

მანი ყანაბეზაშვილი



მარი ყალაბეგაშვილი (დ. 1999, თბილისი) არის მულტიმედირი ვიზუალური ხელოვანი და კულტურის პრაქტიკოსი საქართველოში. მან ბაკალავრის ხარისხი მიიღო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო მონწვეულ სტუდენტად პროფესორ გრეგორ შნაიდერის კლასში დუსელდორფის ხელოვნების აკადემიაში და პროფესორ ბენიამინ ფოერსერბალდენიუსთან ფრანკფურტის Städelschule-ში.

კულტურულ საქმეებში ინტერდისციპლინარული ფონის მქონე, მარი ყალაბეგაშვილის ნამუშევრები ორგანიზაციულად განისაზღვრებიან და სინქრონიზდებიან მოცემული გარემოს დინამიკასთან, ამ გარემოს რეალობის კონტექსტში და მისგან დისტანციების გარეშე. საზოგადოებაზე ორიენტირებული პროექტებით ხელოვანი აყალიბებს თავის ნამუშევრებს წინააღმდეგობების შესახებ, რაც საწყისი კვლევის საგანია და შემდეგ სვამს კითხვას, თუ რა მოხდება „მას შემდეგ“. მისი კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკა მოიცავს განსხვავებულ მედიუმებს, რომლებიც ეფუძნება ცოდნის ერთობლივი გაზიარების პროცესზე სხვადასხვა დისციპლინის ადამიანებთან თანამშრომლობას. გარდა შემოქმედებითი პრაქტიკისა, ხელოვანი ამჟამად ჩართულია პარალელური კლასის პროექტში, რომელიც ქმნის ალტერნატიულ საგანმანათლებლო ინიციატივებს საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.



KALABEGASHVILI Mari

Born in 1999, Tbilisi.

Mari is an emerging multimedia visual artist and cultural practitioner based in Georgia. She received her BA degree from the Visual Arts, Architecture, and Design School at the Free University of Tbilisi.

Afterwards, continued her studies as a guest student in the class of Prof. Gregor Schneider at the Kunstakademie Düsseldorf and in the class of Prof. Benjamin Foerster-Baldenius at the Städelschule Frankfurt.






Having an interdisciplinary background in cultural affairs, Mari's works take on an organizational role and create a determination to synchronize with the dynamics of the given environment in its context without being distanced from it. With cross-pollination methods of practice and community-oriented projects, she builds up her works using contradictions as an entry point and poses the question of what happens after "ever after". Her research-based practice involves a range of media, all of which feed on the collaborative knowledge-sharing process with people from a variety of disciplines. Apart from her praxis, she is currently involved with the Parallel Class project creating alternative educational initiatives for high school students throughout the country.

ქანობაშვილი

ბიოგრაფია



ხელოვანის განაცხადი




შემოქმედებითი ნებელობის თითოეული აქტი შინაგან ცხოვრებაზე მუშაობის გარე გამოხატულებაა, რაც საკუთარი სულიერი შინაარსის გამდიდრებით განიმარტება, ხოლო ხელოვნების ენის მრავალფეროვნება დაკვირვებასა და აღქმის იმ ველში ვლინდება, სადაც თავს იჩენს სამყაროს იმანენტური განცდის სიკვანძე, როგორც ცოცხალი და მუდამ ცვალებადი შემოქმედებითი ძალა.

გიორგი დანიბეგაშვილი(1986 წ.) მულტიდისციპლინარული ხელოვანია, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში, საქართველო.

2012 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მას შემდეგ მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში. 2017 წელს მისი ნამუშევარი პრესტიჟული ფონდის François Schneider Foundation მიერ კონკურსის „თანამედროვე ტალანტები“ ფინალისტთა შორის შეირჩა.

2021 წელს დანიბეგაშვილი European Prize For Applied Arts ფინალისტად დასახელდა.

2023 წელს, მისი ნამუშევარი "შიშველი" ცნობილი Loewe Foundation Craft Prize- ის მეექვსე გამოცემაში მოხვდა. მისი ბოლო გამოფენები მოიცავდა პერსონალურ გამოფენას თბილისის ისტორიის მუზეუმში, ასევე ჯგუფურ გამოფენებს თბილისში, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე Handwerksmesse München, მიუნხენი და ისამუ ნოგუჩის მუზეუმი, აშშ.



Giorgi Danibegashvili



ART STATEMENT

Every act of creative expression is an outward manifestation of work on the inner self, characterized by the enrichment of one's spiritual essence. The diversity of the artistic language becomes apparent in the realm of observation and perception, where the vividness of an inherent sense of the world emerges as a dynamic and ever-evolving creative force.







b. 1986: Giorgi Danibegashvili is a multidisciplinary artist who lives and works in Tbilisi, Georgia. He graduated from Tbilisi State Academy in Fine Arts in 2012, and since then has participated in local and international exhibitions. In 2017 his work was selected among the finalists of the competition 'Contemporary Talents' by the prestigious Françoise Schneider Foundation.

In 2021 Danibegashvili was included in the list of finalists of European Prize for Applied Arts. In 2023, his work 'Naked' was shortlisted for the sixth edition by the renowned Loewe Foundation Craft Prize. His recent exhibitions have included a solo show at the Tbilisi History Museum, Tbilisi as well as group shows at State Silk Museum, Tbilisi, International Craft Fair Handwerksmesse München, and Noguchi Museum, USA.




ՄԱՌՈՆ ԲՆԻՔՈՆՅՅՈՂՈ




ამ ნახატებს გარკვეული დროის მანძილზე განცდილი ემოციების და გამოცდილებების უკან დაბრუნებად აღვიქვამ და ქალაქში მათი გადმოტანის შემდეგ აღარაფერს ვცვლი, ჩემთვის ისინი შთაგონებით შექმნილი ჩანაწერების მსგავსია, როდესაც შენს თავს გრამატიკული თუ შინაარსობრივი ჩასწორების უფლებას არ აძლევ. მათ ცნობიერებიდან წამოსულ მოკლე შეტყობინებებს შევადარებდი, რომლებშიც არაფერს არ ვყვები, უბრალოდ ვამბობ იმის შესახებ რაც უკვე ვიცი, განმიცდია ან გამიანალიზებია და თავისი ხასიათით პეტროგლიფებს მაგონებს, რომლებიც პირველყოფილი გუნრფელობით, ყველანაირი წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოსა და ესკიზის გარეშე იქმნებოდა.

თათია ღარჩიაშვილი







თამარ (თათია) დარჩიაშვილი დაიბადა 1972 წელს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი, ილუსტრაციის მიმართულება. მუშაობდა ა. ქუთათელაძის სახელობის შემოქმედებით სახელოსნოში გოგი წერეთლის ხელმძღვანელობით. შემდეგ კი სტაჟირება გაიარა ს.ქობულაძის სახელობის გრაფიკის სახელოსნოში. მისი შემოქმედების სფერო მოიცავს გრაფიკას, ფერწერას, ინსტალაციას, საიუველირო დიზაინსა და მინაწერის ხელოვნებას. მისი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენები იმართება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (გერმანია, იაპონია, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები).



TATIA

Darchiashvili

I perceive these drawings as a reflection of the emotions and experiences that I have accumulated over time. I do not change them after I have applied these to paper. To me, they are like inspirational recordings when you do not allow yourself to correct either the form or the content. I would compare them to short messages coming out of my consciousness which rather than tell a story convey what I already know, have experienced or examined. I see these drawings as a throwback to petroglyphs that were created with primal sincerity, without any preparatory work and sketches.



Tatia Darchiashvili (1972) was born in Tbilisi, Georgia. She has graduated from the faculty of easel graphics in Tbilisi State Academy of Arts in 1996. After graduating from the academy, Tatia Darchiashvili underwent an internship at S. Kobuladze etching studio. Tatia Darchiashvili's art covers following fields: graphic drawing, etching, installation, video installation, jewelry design and enamel. Tatia Darchiashvili lives and works in Tbilisi. Tatia's work has been exhibited in Georgia as well as abroad: Germany, Japan, Russia, France, Spain, and Netherlands. She has also participated in Duo and group exhibitions.



temo javakhi...

collectible BOOK

R.A.V. (Reach Art Visual)-ის ინიციატივით, გამოიცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართველი კონცეპტუალისტი ხელოვანის, თემო ჯავახის საკოლექციო წიგნი.

გამოცემა დაკავშირებულია ხელოვანის 70 წლის იუბილესთან. პროექტისა და წიგნის შესახებ ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:

R.A.V. (Reach Art Visual) published a collectible book about one of the significant Georgian conceptualist artists, Temo Javakhi, dedicated to the artist's 70th anniversary.

For the further information about the project and the book, visit the link:

https://www.reachartvisual.com/frontend/web/site/books_detail?id=24



GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CAN DO IT



CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

STAMBA HOTEL - D Block E-04
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge

COVER: Irina Gabiani, Konstantin Mindadze

Publishing and Concept	- Thea Gogvadze (Tea Nili)
Art Historian	- Mariam Shergelashvili
Editor	- Mariam Shergelashvili
Design	- Irina Kacharava - iStudio
Translation and Editing	- Ketevan Uchaneishvili, - Magda Guruli - Khatuna Khabuliani
Photo credits	All photos are provided by the artists
Additional Credit:	- Guram Tsibakhashvili - Propaganda.network - Saba Gorgodze - Guram Kapanadze - Ika Khargelia - Giorgi Nakashidze
Announcement Credit:	- Tamuna Chabashvili. "I demand the Voice", 2021 This work is based on the State Silk Museum archival material

ყდაგა: ირინა გაბიანი, კონსტანტინე მინდაძე

გამომცემელი და კონცეფცია	- თეა გოგუაძე (თეა ნილი)
ხელოვნებათმცოდნე	- მარიამ შერგელაშვილი
რედაქტორი	- მარიამ შერგელაშვილი
დიზაინი	- ირინა კაჭარავა - iStudio
თარგმანი და კორექტურა	- ქეთევან უჩანეიშვილი, - მაგდა გურული - ხათუნა ხაბულიანი

ფოტო	ყველა ფოტო მონოდებულია არტისტების მიერ
------	--

დამატებითი კრედიტი:	- გურამ წიბახაშვილი - Propaganda.network - საბა გორგოძე - გურამ კაპანაძე - იკა ხერგელია - გიორგი ნაკაშიძე
---------------------	--

ანონსის ფოტოკრედიტი:	- თამუნა ჭაბაშვილი, "მე ვითხოვ სიტყვას", 2021 ნამუშევარი შეიქმნა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის საარქივო მასალაზე დაფუძნებით
----------------------	---

IMPRESSUM

გაზეთი GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

In cooperation with



📍 14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
📞 +995 599 502 500
@ irina.kacharava1@gmail.com
f @istudiolab
📷 istudiolab
www.istudiolab.ge

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any form by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronic or manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessibility

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ვეება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას, თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.



Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
© Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia


Archive & Georgian Contemporary ART

ANNOUNCEMENT

ანონსი

14

ბრძენი და ქართული თანამედროვე ხელოვნება



თამუნა ჭაბაშვილი, "მე ვითხოვ სიტყვას", 2021

Tamuna Chabashvili. "I demand the Voice", 2021
This work is based on the State Silk Museum archival material

ნამუშევარი შეიქმნა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის საარქივო მასალაზე დაფუძნებით

ZE GAVLENA

RAV• art review 04.2024